

345 / 2
1903

№ II

თეგეჲსული
საქუთუბნი

2



თეგეჲსული 1903

I	მგელი და იშხივარი პოლონიური ზღაპარი—თომასიკისი.	3
II	დედის ცრემლები ლექსი—დ. თომასიკისისა	4
III	კაცის ძალა ზღაპარი, ჩაწერილი—ლადი ლოლუასკანს	6
IV	კეთილი ანგელოზი ინგლისური ზღაპარი—აღ. ნათაქსი	10
V	ჭკვიანი ძაღლი (თარგმანი)	20
VI	მეფე და მათხოვარი (თარგმანი)—მღვ. ბეს. ვაშაქსი	21
VII	მეფუტკრე იგავი—აღ. შინანაშვილისა	22
VIII	როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება (შემდეგი)— გოტე კლიფშვილისა	23
IX	ფოლადი ლექსი—აჭაგისა	32
X	ბოროტი კუზიანი (თარგმანი)—თომასი	35
XI	პირამი და თისბა ოვოდიუსიდან—ა. ყუმიისთავკისისა	46
XII	ძველი ისტორია ერნესტო ლაისისა. ეგვიპტელები. (თარგ- მანი	51
XIII	რომელ ჩვენ მეფეს ეძახიან აღმაშენებელს და ან რათ დაარქვეს ეს სახელი?—გლადიჟერ მეტრეველისა	56
XIV	წერილმანი: ხევსურული ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, უჯრების ამოცანა, არითმეტიკული გამო- ცანა, შარადა, რებუსი და ახსნა.	60

თანახმათ მათი ყოველად შესამდგომლოების სა-
ქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის სა-
ეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადა-
წყვიტა ქართული საყმაწვილო ქუჩილი „ქუჩილი“
საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღე-
ბულ იქმნას სახმარებლათ.

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
ბიბლიოთეკა



საქმეაფვილო ნახატებიანი

ქურონალი

იზარდი, მწანე ჟეჟილო,
დაბურდი, გასდი უანო!..
ო. დ.

№ II

წელიწადი მეთოთხმეტი

ბფილისი

სტამბა ტ. მ. რატინანდის, № 41 | Тип. Т. М. Ротинянца, Гол. пр. № 41
1903

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Января 1903 г.



მგელი და იშხივარი.



დასურვივს მგელს და იშხივარს ფუ-
 ლლები. მგელს არ უნდოდა მაშინვე
 ფულის დახარჯვა, ამისათვის მან თა-
 ვისი ფული დასურვივა ხალხს სესხათ. იშ-
 ხივარმა წამოიკიდა ტომარა ზურგზე და
 იწყო წყლის პირას სიარული, უცნაოთ გადუვარდა
 ტომარა წყალში და დაეკარგა.

იშხივარმა შესჩივლა მგელს თავის უბედურობა;
 მგელმა ურჩია მას ეძებნა ფულები იქ, საცა დაეკარ-
 გა. აი ეს არის მიზეზი იმისა, რომ ახლა იშხივარი
 წყალს არ შორდება და სულ თავის ფულის ძებ-
 ნაშია.

მგლის გასესხებულ ფული-კი ნიადაგ სარგებლო-
 ბაშია, სარგებელში ჩვენგან მგელი ღებულობს: ცხვრებს,
 თხებს, თიკნებს და სხვას.

თორნიკე.

(პოლონიური ზღაპარი)

საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

46897

დედის სკამლევი.



ამ დაგაღონა ამ რიგათ,
 ამოგნამვია თვალები? —
 მითხარი, მითხარ გეთაყვა,

დედიკო, გენაცვალევი! —

ეკითხებოდა პატარა

წარბებ-შეჭმუხვნელ დედასა,

თითქო სურს მოსცხოს მალამო

იმის მწარ ნალველ-სევდასა.

— რამა, შვილო, და — შვილისთვის

დედას ჭირ-ოფლი სდენია

და მისთვის შვილის სიცუდე

ძნელი რამ მოსათმენია!..

ძველთაგან თქმულა და ეს დღეს

მიმატებს ტანში ურყოლასა:

„სჯობს ყოლა უწრთენელ ძაღლისა



დღის ცრემლები

უწრთავნელი შვილის ყოლასა!...“
 დღეს რაა ჩემთვის შალიკო,
 თუ არ ტკივილი გულისა,
 ლხინისა ჭირათ შემცვლელი
 და გლოვათ სინარტლისა?...
 ძუძუ თუმც ღოცავს, პირი კი
 არის მის მუდამ წყევაში! —
 ოსტატმა მითხრა: „მას ორი
 უზისო ყოფა-ქცევაში!“

გამვლელ-გამომვლელს ქვას ესვრის,
 წიგნები განზე უწყვია!
 გუშინ-წინ ეტლსა ჩუმათა
 უკნ-დან შემოცუცქვია!...
 ქუჩებში დანტის ჯიუტი,
 უსმი და დაუდევარი
 და ჩემი ცრემლის მიზეზი,
 შვილო, დღეს სწორეთ ეს არი!...
 მე რომ წიგნები მგონია,
 კენჭებს ატარებს უბითა!...“
 და მწარეთ ტირის მშობელი,
 ცრემლი სდის ღაპა-ღუპითა.

დ. თომაშვილი.



ბასის კალა.

(სამეზღველოში ბაზონილი ზღაპარი).



ამა-ღმერთს თურმე ერთი მღვევი ჭეჯვდა ჯაჭვე-
 ბით დაბმული. ამ მღვეს თავის დღეში აღამი-
 ნი არ ენახა. ერთსელ ეს მღვევი შეევედრა
 ღმერთს:

— ღმერთო ძლიერო, ამდენი ხანია აქ დაბმული გევეჯრ
 და არსად მიშვებ, შემიბრალე, ამიშვი, მინდა ვნახო ის
 სულიერი, რომელსაც კაცს უწოდებენ; მასე ბევრი რამ გა-
 მიკონია: ამბობენ ვითომ დედამიწის ზურგზე კაცის მოძრე-
 ვი არავინ არისო; ამიტომაც მინდა ის მოვინახო სადმე და
 ვცადო მასთან ჩემი ძალა. ღმერთმა უთხრა:

— კარგი აგიძვებ, მაგრამ იცოდე რომ კაცი გძლევეს
 და დაიღუპებო.

მღვემა არ დაიჯერა და თავი ააშვებინა. — გაუღვა გზას
 კაცის საძებნელათ. მიდის. გაიხედა და დაინახა, რომ ძელია
 გამწარებული ძორბის.

— შენ ხარ კაცი? ჭკითხა მელიას მღევმა.

— არა ბატონო, მე მელია ვახლავარ.

— რაზე იორბინარ ასე გამწარებული?

— რაზე ბატონო და აგერ თნის ფარა რომ სძოვს, მივეზარე და ერთი მათგანის მოტაცება მინდოდა, მაგრამ კაცმა, რომელიც ფარას მწუესავს, შემამჩნია და კინაღამ სული გამაცხებინა.

— აბა, წამომეყვი, უთხრა მღევმა და მახვენი, სად არის ის კაცი?

— არა ბატონო, მე ვერ წამოვალ, იმ კაცს იღლიას ქვეშ რაღაცა აქვს ამოდებული, თუ დაგვინახა ამოიღებს, ცალი თვალით ვახედავს, «ჩხაკს» დაძახებინებს და სულს გაკვავართობინებს.—მღევმა არ დაუჯერა და ძალით წაიყვანა მელია, რომ კაცი ეჩვენებია. მიდიან. გლიხედა მღევმა და დინახა კამბეჩების გროვა.

— ეს არის კაცი?—ჭკითხა მელიას მღევმა.

— ეჰ! ბატონო, კაცი რომ ამისთანა იყოს რა გვიჭირს, უნახუნა მელიამ;—კაცი ამისთანას რამოდენიმეს ერთთ დიჭერს, კისერზე რაღაცას დაადგამს, თვითონ უკან გამოუდგება და დიდი სხარით მიერეკება და ამუშავებს.

მესავრობა განაგრძეს. შესვდენ ურბ ცხენების ჯოგს, რომელნიც მათ დანახვაზე დაფრთხენ.

— კაცია ეს? ჭკითხა მღევმა მელიას.

— არა ბატონო, ეს კაცი არ არის, კაცი ამათ დი-

ჭერს, შეადგამს რადუკას ტანტისაჲ და აქეთ-იქით დაბუნებსო.

გაიარეს ცოტა იქით და დაინახეს თხის უარა.

— ეს სომ არ არის კაცი? ჭკითხა მღევმა.

— არა ბატონო, შესედე რამოდენიმე ათას ცხოველს ერთი კაცი მწეესავს; აი, გაიხედე იქით, ეგერ რომ პატარა დგას, აი ის არის კაცი.

— წამოდი, უთხრა მღევმა მელიას, მაგრამ მელიამ ვერ გაბედა წაეოლა და დაბრუნდა; მღევმა-კი გასწია ჰირღაბი მწეემისაკენ.

მწეემსმა რომ თავისკენ მოძავალი მღევი დაინახა, შეშინდა, მაგრამ რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოიკრიბა და შესძახა მღევს:— მაღლობა გამჩენს, რომ ამდენი ხნის სურვილი დღეს ამისრულდა, დღე და ღამ დემართს შენთან შესჯედრას ვთხოვდი, რომ შეშინჯა შენი ღონე, რადგანაც მე ვერ კაცი არ მომრევიანო.

მღევმა მინალოვებისათნაჲე ჭკითხა:— კაცი სარ შენ? — დიას კაცი განლაგარ!— უბასუსა ამაუთ აღამიანმა.


— მოდი ვიჭიდართო, უთხრა მღევმა; კაცი დაეთანხმა, მაგრამ უთხრა:

— რა ვქნათ, სომ ხედავ მოწმე არაგინა გვეავს, რომ სხვა დაარწმუნოს ვინ — ვის წააქცევსო. — მღევმა უთხრა წადი და მოიუვანე რამდენიმე კაცი მოწმეთაო. მწეემსმა ორისამი ნაბიჯი გადადგა და ისევ უკან მობრუნდა.

— კარგი მე წავალ, მაგრამ ჩემს დაბრუნებამდე შენ რომ გაიტყუე, მერე რა გქნაო? მოდი ერთს ვიტყვი, შენი გატყუვის შიში რომ არ მქონდეს, შეგკრავ კარგათ და ისე დაგტოვებ ჩემ დაბრუნებამდისო. მდევი დაეთანხმა. მწუქმსმა შეჭკრა ძალიან მაგრათ ღვლენჭებით (მოქნილი სხვი-ლი წკნელები). რომ გავეცო მაგრათ იყო თუ არა შეკრული მღვს უთხრა: გაინძერიო. მდევი გაინძრა და რამოდენიმე ადგილას გაწუვიტა; მაშინ კაცმა უფრო მაგრათ შეუკრა სეღ-ფესი. მდევა ბევრი იქაჩავა, მაგრამ ვერას გახდა. მწუქმსმა მოწუქების მოუვანის მაგიერ აიღო დიდი ცული, დაჭკრა კი-სერსე და თავი ტანს მოაჯილა. — მაშინ ღმერთმა დაუძახა მღვს:

— არ გითხარი, კაცი გძლევის, ადამიანის მოძრევი დედამიწასე არაზინ მოინოვება-მეთქი!

ლადილოლუა.



პეტილი ანგელოზი.

(ინგლისური ზღაპარი).

სოფლის განშორებით, ერთს მიუვალ, გამარტოებულ ადგილს იდგა ერთი სახლი; ამ სახლში ცხოვრობდა ღარიბი, მეტის მეტათ ღარიბი დედაკაცი — რამდენიმე ჰაწაწინა ბავშვებით. უველასე უფროსს რობინი ერქვა. იგი იქნებოდა ასე 12 წლისა, მაგრამ მუშაობდა კიდევ ერთ ფერმაში. და მუშაობდა როგორ? დილიდან კარგა ვანშობადის ძაღლს თავს არ იღებდა და თავის ოფლის ფულით კვებებდა ოჯახს. ერთ საღამოს, სამთრის ჰირსე, რობინი დაბრუნდა შინ მუშაობიდან ერთი მიურეუბელი გზით. მისი სახლი ფერმიდან ძალიან შორს იყო და ეს კარემოება დედან მეტათ აშინებდა და საგონებელში აგდებდა. იგი სულ ამას ფიქრობდა: რა ეშველებათ ჩემ საცოდავ ბავშვებს, რომ ერთ-ერთი მათგანი

ავთ კანდეს—სომ არც ერთი ექიმი არ დათანხმდება ჩვენ-
სა მოსვლას და ავადმყოფების დასედასო. ამ სიმორჩხე
ცხოვრება-კი აუცილებელი იყო, რადგანაც სახლი იაფათ
ჭირათ და საფხულშიაც ამ ადგილს არა ადგილი არ შე-
დრებოდა ბუნების სიმშვენიერით.

იმ წელიწადს ძალიან სუსსიან სამთარს მოელოდნ;
ვეელს ძველი, გამოცდილი კაცები წინასწარმეტყველებდნ
ამს და მათი წინასწარმეტყველება იშვიათათ გამტყუნდებო-
და სოლძე. რობინიც როგორღაც ცუდათა გრძნობდა თავს,
როდესაც იგი სახლში ბრუნდებოდა. თოვლი რომ დიდი
დასდოს, სომ გსა შეიკვირის, ფიქრობდა იგი, მე ველარ
ყოფილ საძუძათ და რაღა ეშველებათ ჩვენებსო. წინეთაც
ყოფილ დიდი სამთარი და რობინი რამდენიმე დღეობით
ვე წასულა საძუძათ.

ემწვილი დაიღალა, მოშივდა კიდევ, თან ისიც აწუ-
ხებდა, რომ მას სახლში იქნება ცარიელი სძელა ზურიც
არ დასვედროდა.

— მაგრამ ჭერი მანც დამხუდება, თავ-შესაფა-
რი, სადაც შემოდლიან დავისვენო და გაუთბე კიდევ.
შემა და ჩინჩხვარი ბევრი მხეცს სახლში მისიღული და თუ
გამოილია იქ ახლო ბლომათა არის ჩირგვები და რამდენ-
იც მინდა მოვსიდამო. ამედებდა თავის თავს რობინი.

სამინელი ცივი ქარი ღრიალით დატრიალებდა და სი-
ცივე ძვლებამდის ატანდა რობინს. იგი ხან-და-ხან სელს

მოიკიდებდა სოღმე უურებზე და დაუწებდა სრესას. ურ
რეო რობინს რადეც ხმაურობა მოესმა. ეს ქარის შემოღ
არ არის... ეს ბავშვის ხმაა. რობინი შეერთა, გააშურა ფე
ნი, მაგრამ აი, კიდევ ხმა... კვენესა, კიდევ ქვითინი... ურ
რო და უფრო გარკვევით ისმის.

— ნამდვილათ ვიღაცა ტირის! გაიფიქრა რობინმა, —
მაგრამ რა ვქნა? ნუ თუ წავიდე სახლში და ის ვიღაც დაუტოვო
განსაცდელში, არ მივეშველო, არ დაუყუვაო? რობინი შედ
გა, განაბა სული, რომ შეეტყო ტირილის ხმა საიდან მო
დიოდა. გაბრუნდა იქით, ბილიკს დაადგა და მის განსაცდებ
ლათ იქვე ახლო კიდევ მოესმა ტირილი. ამ დროს მთვარე
გამოვიდა თავის საბრძანებლიდან და იმ არე-მარეს მოჭყინა
ნათელი. რობინმა დაიხედა მიწის და დაინახა, რომ მის ფე
ხებთან გდია ჰაწაწინა ქალი და საცოდავათ ტირის. იგი
ასე ორი წლისასა ჰგავდა.

რობინი დასწვდა ბავშს ასუვანათ. უმაწვილი განუმადა,
ორივე სული მოსჭიდა მაგრათ და ვინემ რობინი გამოერე
ვოდა, ჰაწაწინა კიდევ გადაუცოცდა ხელეზე.

— რა გეო, ჩემო ჰაწაწინავ? ჰკითხა იმან. — საიდან
განდი შენ აქ? რობინი უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა,
ვინემ იმ ჰატარას. ჰატარა-კი მიეკრა რობინს გულზე და
ძალე ჩემინა. რობინმა გადააფარა თავისი ჰალტოს კალთა
და გადასწვევით მისი სახლში წაუყვანა.

მიდის რობინი ხელში ბავშვით, ცოვი ქარი უბერავს ჰი-

რისსე, დაღლილობისაგან ფეხებს ძლივს მიათრევს და თან ამასა ფიქრობს: რას იტყვის დედა, როდესაც ამ ჰაწაწინას დაინახავსო. იქნება ეწუინოს კიდევ! არ იცის, საუბრად, რითი გამოიკვებოს თავი და შვილები და ესევძიება! ბუტბუტებდა რობინი და მიაშურებდა შინისკენ. ვერ კიდევ დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი და ეს აწუხებდა. მაგრამ როდესაც რობინი დაღალვისაგან ჩერდებოდა და მწარე ფიქრებში ვარდებოდა, ამ დროს ჰაწაწინა გოგონას ხელები, თითქო სანუგეშებლათ, მიეკვროდა და რობინის ადგლებულ გულს და მისი სუტუტა თმა თითქო მივაღერებოდა მის დამძრალ ტუჩებს, რობინს მაშინვე დარდი გადაეურებოდა სოღმე გულიდან, როგორც იყო მიაღწია სახლამდის. მისი დადარდიანებული დედა იღვტ კარებთან და სულ-განაბული უურს უგდებდა რობინის ფეხის სმას.

— შენა ხარ, რობინ? შეჭევირა დედა და მის ნაღვლიან სახეს სინარულის სსივმა გადაჭკრა, როდესაც მან რობინის ხმა გაიკონა.

რობინი მოკრძალებით შევიდა სახლში. დედამ გაკვირვებით შეჭხედა ჰაწაწინა სტუმარს.

— არ შეიძლებოდა, ჩემო დედავ, რომ მე ასე არ მომეცუულიყავი. ჩემს ადგილს უველა ასე მოიქცეოდა და დაწერილებით მოუუვა თავის თავ-გადასავალს.

— ძალიან კარგათ მოქცეულხარ, შვილო. ამ ჰაწაწი-

ნას იმ უდაბურ ადგილს დატოვება და მეტადრე ამ საში-
 ნელ ღამეში, დიდი ცოდვა იქნებოდა. ჩემი სავალალო მსო-
 ლოთ ის არის, ჩემო სიცოცხლე, რომ ვერაფრით ვერ
 შემიძლიან გაუუმსპინძლდე ამ ღვთის სტუმარს. ერთი ზუ-
 რის ნატესი-ღა დაგვრჩა, შვილო, შენთვის და სხვა არაფე-
 რი არა გვაქვს-რა. მსოლოთ ეს შემიძლიან, რომ ამ ზაწა-
 წინას თბილათ მოვასვენებ.

დედამ ჩამოართვა ზაწაწინა და ცუცხლა-პირას და-
 სვა. ბაჟში შეატყერდა მას და გაუცინა კიდევ. რობინსუ
 ამავე დროს რადაც შეება მიუცა. ზატარამ გაიქნ-გამოიქ-
 ნია თავისი სუჭუჭ-თმიანი თავი, წამოიწია, მიიხედ-მოიხე-
 და და ხელებით ანიშნა, რომ მშიანო. რობინმა აიღო ზურის
 ნაჭერი, ნახევარზე მეტი სტუმარს მისთავასა და სიხარუ-
 ლით შეტყეროდა როდესაც მისი სტუმარი მადიანათ შე-
 ეტყუოდა ზურს. რობინის მშებიც გაკვირვებით შეტყეროდნ
 ზატარას. მის დებს-კი ჩასძინებოდათ.

— დღეს კიდევ არაფერი, შვილო, მაგრამ ხვალ რად
 უნდა ვქამოთ? თუ ესეთი დარი დადგა, მე კვლარსად შემეძ-
 ლება წასვლა და ცუდი საქმე დაგვემართება. დაუმატა დედამ
 და მწარეთ აემღვრა თვალები.

რობინი სასოწარკვეთილებით ისმენდა დედის ლაპარაკს.
 თავის შიშილს ის არ აქცევდა უურადღებას— ამას ის უ-
 ლავდა გულს, რომ მისი დები მშვირები ყოფილან მთელ
 დღეს და შიშილისაგან დასუსტებულთ მიუძინიათ. ასე მწა-

რეთ ნაღლობდა რობინი. მის ძმებს-კი ჟრიაძეული გაჭქონ-
დათ და კასკასებდენ. «გაჩუძით!» უნდოდა ეთქვა რობინს,
მაგრამ შესედა თუ არა მათ უსრუნველ, მხიარულ სახეს,
სმა ჩაუწედა და კრინტი ველარ დასძრა. ჰაწაწინა მათი სტუ-
მარი ამხიარულებდა, ავასკასებდა რობინის ძმებს: იგი სან
ერთს, სან მეორეს ჩააკბენინებდა სოლმე ჰურის ნაჭერს და
ამათ ეს ლუკემები ისე ტკბილათ ეჩვენებოდათ, რომ სიცოც-
ხარსარი გაუდიოდათ.

— ამათ ასე ჰგონიათ, რომ თაფლსა სჭამენ, საწულე-
ბი, მძივრები არიან, მაგრამ ეს ჰაწაწინა არსება მაკვირვებს!
— რა გულ-კეთილი რამ სჩანს; თვითონ დარწმუნებული
ვარ, რომ შინა და თავის კერძსაც-კი სხვას თავასობს, ფიქ-
რობდა რობინი.

უველას მალე ძილი მოერია. დედამ სათითათ გაჭსა-
და ტანისამოსი და ჩააწვინა ერთათ თბილ ლოგინში. რო-
ბინიც იქვე ანლო მიწვა, ცოტა დამშვიდებული იმ ჰაწაწი-
ნაების ცქერით.

— მე სვალ ადრე უნდა ავდგე, დედილო, რომ, ვინემ
სამუშაოთ წავიდოდე, ჰური გიშოვნოთ სადმე.

რობინმა მართლაც და ჩვეულებასე უფრო ადრე გა-
იღვიძა, თუმცა-კი წინა დღით ძალიან დაქანცული იყო და
მოსვენება უნდოდა. მთვარის შუქი მისდგომოდა იმ ოთახს,
სადაც იგი იწვა და ამას ჰგონებოდა, მსე კიდევ ამო-
სულაო. მიინედ-მოინედა და შენიშნა, რომ ოთახი უკვე

მილაგებ-მოლაგებულია, ჭურჭელი დარეცნილი და დალაგებული თაროზე, ქურები განაღებული.

— საცოდავი დედაჩემი, რა ადრე ამდგარა! ეტობა მე ძალიან მაგრათ მძინებია, რომ მისი შემოსვლა ვერ გამოიგია. დაუძახა დედას, ხმა არ მოესმა. დაუძახა კიდევ, ჰხედავს რომ ჰასუსს არაზინა სცემს. ადგა გავიდა მეორე ოთახში და გაოცებულმა უკან დაინია, როდესაც შენიშნა, რომ დედა მისს ისევ ტებილათ ეძინა ლოგინში; მაგიდაზე სუფრა გაძლილი იყო და რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ ელაგა! მშვენიერი ზური, კარბქი, რძე და სხ. იქვე ასლო ბუსარში უავა დუღდებოდა და მისი მშვენიერი სუნი მთელ ოთახში გამდგარიყო.—დედა, დედა!—წამოიუვირა გაკვირვებულმა რობინმა, საიდან გაჩნდა ეველა ეს? განა შენ კიდევ მოასწარი ბასარში გასვლა? ან გუძინ ჩვენსა სომ არაზინ უოფილა? დედაც ჰასუსის ნაცვლათ განცვიფრებით შესცქეროდა მაგიდას.

— ჩავიცვათ ჩქარა და ვისაუსმით, წამოიუვირეს ჰაწაწინა დებმა. დიდი ჟრინამული და სისარული შეუდგათ ეველას. მსოლოთ ჰაწაწინა სტუმარი არ იღვიძებდა და დიმილი მოჭყენოდა მის მშვენიერ სახეს.

— ვინც უნდა იუვეს, საიდანაც უნდა იუვეს იგი, მსოლოთ ეს შემდილიან ვთქვა, რომ ამ ჰაწაწინამ ბედნიერება შემოიტანა ჩვენს ოჯახში, წარმოთქვა დედამ.

მთელი სასლობა მაგიდას მოუჯდა. როცა ჭამით მო-

სულიერდენ, დაიწუეს ისევ იმაზე ლაპარაკი, თუ ვისი წვა-
ლობა იყო ამდენი საჭმელის მოტანა. ძალე ეველანი ბი-
ძაღენ, დედამ ნასუფრალი საკუჭნაში შეიტანა და აქვს შე-
ნიშნა, რომ ხარისხზე ჩამოკიდებული იყო მშვენიერი ლო-
რი და ერთი დიდი კალათა კვერცხებით სავსე.

— რობინ, შეილო! — წამოიძახა დედამ. ახლა ჩვენ
აღარ გვიძავს-რე, შიმშილს ჩვენთან ხელი არა აქვს, თოვ-
ლიც რომ ჩამოჭყაროს და შინიდან გარეთაც რომ ვერ შევძ-
ლოთ გასვლა.

თქვა ესა და გადმოიხსნა კარები. დარმა პირი იცვალა,
თოვლი შესდგა და რობინი მხიარულათ წავიდა სამუშაოთ.
იგი მხნეთა და კარგათა გრძნობდა თავს, კარგი საუსმის
შემდეგ.

— მოიკითხე, შეილო, აქეთ-იქით, იქნება დაჭკარვა
ვინმე ბავში! — გასძახა დედამ გზაზე მიძავალ რობინს. —
უეჭველია მისი ქმობლები მთლათ დატანჯულები იქნებიან
ამ ბავშვის ძებნაში.

რობინმა მართლაც შესძრა მთელი არე-მარე და ბავშს
ნატრონი არსად გამოუჩნდა. ის დღე ბედნიერი დღე იყო
რობინისთვის. ფერმის ნატრონმა შეაქო კარგი მუშაობისა-
თვის, ჯამაგირი მოუმატა და დაჭწირდა კიდევ, რომ არა-
ფერს არ გამოვირიტსაჲ ჯამაგირიდან ცუდი სამთარიც რომ
დადგეს და ვერ შესძლო მოსვლა სამუშაოთაო.

საბარათველოს
პარლამენტის
ქართული
ბიბლიოთეკა

საბარათველოს
ქართული
ბიბლიოთეკა

რობინი სისწრულით ფეხსე აღარ იდგა და უნდობა რაც შეიძლებოდა ჩქარა, ეს სისწრული დედისთვის გაეზიარებინა. საღამომაც მოაწია. მუშაობა გათავდა და რობინმა კუნტრუშით გასწია შინისკენ.

— ჩვენ ახლა აღარა გვეჭირს—რა—ფექრობდა რობინი — კიდევაც რომ ვერ ვინაოვნოთ იმ ბავშვის პატრონები, მე ახლა აინუნშიაც არ ჩავაგდებ, რადგანაც დედა-ჩემი შესძლებს მის გამოკვებასაც.

როდესაც რობინი მივიდა იმ ადგილს, საიდანაც ბავშვის ხმა მოესმა წინა დღით, იგი ცოტა ხნობით შედგა. უკან მოწმენდილი იყო, მთვარის შუქი მოჭყფნოდა იმ უდაბურ ადგილს და წინადღის საძინელი ქარის მაგივრათ მოჭქროდა ნელი, თბილი ნიაფი. კიდევ რაღაც ხმა მოესმა ეძაწვილს, ხმა მხიარული, წერიალა და ამ ხმას მოჭყვავებოდა სიცილიც. რობინი მიბრუნდ-მიბრუნდა, აქა-იქა ათვალიერა, მაგრამ რა დაგეგარგავს, რას ექებ! ახლა-კი ცოტა არა—ფერი ეცვალა და სჩქაროთ გაჭქანდა შინისკენ. დედა წინ გამოეგება; თუმცა მას მხიარულობაც ეტეობოდა, მაგრამ რაღაც-კი აწუხებდა კიდევ.

— ჩვენი პატარა მშვენიერი სტუმარი წავიდა, შვილო რობინ! უთხრა დედა. — მაგრამ არა მგონია, რომ დაუშვადეს რამე. იგი შენს დებთანა თამაშობდა და უეცრივ ისე გაიქცა, რომ ვეღარ დავეწიენით. შორიდან, ძალიან შორიდან მოისმოდა მისი მშვენიერი სიცილ-კასკასი. ახ-

ლა-კი მესმის თუ რასაცა ნიშნავს ეს. შვიდ წელი-
წადში ერთსელ კეთილი ანგელოზები, რომლებიც ცხოვ-
რობენ ამ მიუვალ ადგილებში, ეჩვენებიან ხოლმე ადამიანს.
კუშინ სწორეთ ამისთანა დღე იყო და ჩვენ უეჭველია ერ-
თი მათგანის ნახვით გაგებდნიერდით.

რობინძაც უამბო დედას, კხასე კადევ მომესმა მძე-
ნიერი სიცილი და გამოკეშურე ეს ამბავი შენთვის მია-
ბოლ. უველანი ბედნიერათ და კმაყოფილათ გრძნობდენ
თავს.

შემდეგ ხანებში, შვიდი წლის შემდეგაც, ბედნიე-
რება არა შორდებოდა ამ ოჯახს. უველაფერი რიგზე მი-
დიოდა, უველაფერი კარგათა უსრულდებოდათ. თვითონ
რობინი კარგი, კეთილშობილი და ჩინებული კაცი დადგა
და დიდხანაც იცოცხლა. თავისი ოჯახისა და მოყვასის დღე-
გრძელობისათვის.

ალ. ნოაძე.



ჭკვიანი ძალი.



რთი ავთმოფი კაცი წავიდა სასამო-
 როთ ნეაპოლში, თან წაიუვანა თა-
 ვისი საუვარელი ძაღლი, სახელად
 კლაუდი. ავთმოფოს ძლიან უუვარდა
 წიგნების კითხვა, სშირათ დაიარებო-
 და სამკითხველოში, ძაღლიც არ შორ-
 დებოდა, თან მისდევდა სოლმე, მე-
 რამ ერთი უბედურება იყო: სამკითხ-
 ველოს გამგის ძაღლი და კლაუდი
 სულ ჩსუბობდენ. ბოლოს იმითი გა-
 თავდა, რომ კლაუდი გაგდეს, აღარ უშვებდენ სამკითხვე-
 ლოში.

ჭკვიანმა ძაღლმა ერთი სერსი იღონა: ქუჩიდან შესავა-
 ლი კარის სარას დასარეკათ უნდა თოკი ჩამოეწიათ სოლმე,
 ძაღლმა ეს კარგათ შენიშნა.

ერთხელ, დილით ვიღამაც სამკითხველოს სარა დარე-
 კა, გააღეს კარი თუ არა ოთახში კლაუდი შევარდა. რამ-
 დენჯერმე გაშეორდა ეს ამბავი. ძაღლს დაუწვეს თვალის

ღვინება და შეამჩნიეს, რომ ის უკანა ფეხებზე დგებოდა და
 ან წინა ფეხებით, ან კბილებით ჩამოსწევდა სოლმე ზარას
 თოკს, მეფე განზე გადადგებოდა და ელოდა კარის გაღებას,
 რომ უცბათ შევარდნილიყო სამკითხველოში.

(თარგმანი)



 მეფე და მათხოვარი.

(ნამღვილი აშაფი).

ძალზე კოპენჰაგენში მეფე ქრისტესია თითქმის ეოკველ
 დილას დასეირნობდა სოლმე თავის კარის კაცებით.
 ერთ დილას, სეირნობის დროს, მეფეს მიუხელოვდა ერთი
 მათხოვარი. მეფე ქრისტესია ეოკველთვის მოწუხლებით ეჭუ-
 რობოდა მათხოვრებს და ხშირათ მუსაიფობდა მათთან. მე-
 ფემ ალერსით ჰკითხა ვლახაკს: მათხოვარო, რა გესაჭიროე-
 ბა შენ?

— თქვენო უდიდებულესობავ! უნასუნა მათხოვარმა, — თუ
 შეიძლება, თქვენ სასსოვრათ თქვენი სურათი მიწუხლობეთ.

მეფეს ძალიან გაეხარდა მათხოვრის ასეთი მოულოდ-
 ნელი თხოვნა და სიცილით უთხრა:

— დიდის კმაყოფილებით ავასრულებ შენ თხოვნას, მაგრამ ჩემი სურათი თან არ დამაქვს სოლომე ჯიბით!

— მანატკვეთ, თქვენო უდიდებულესობაჲ! მოასსენა მათხოვარმა მეფეს ცბიერი დიმილით, — თუ-კი თქვენი უდიდებულესობა ჩაიხედავს ქისაში, უეჭველათ ნასავთ შიგ თქვენს სურათს...

მეფემ გაიკინა, დაუუნებელივ ჩაიყო ხელი თავის ქისაში და უწყალობა მათხოვარს ვერცხლის ფული, რომელსედაც მეფის სურათი ცხადათ იყო გამოხატული...

მღე. ბეს. ეაშაძე.



მეფუტკრე.

(იგავე)

მეფუტკრეს ფუტკარმა ხელსე უკბინა და ძლიერ გაამწვაჲ.

— შე უღებრთო, დღე და ღამ შენს სამსახურში სული ამოდის და ასე გამწვაუებას რას შემართლებით, უსაუკუდურა მეფუტკრემ.

— მე ხომ უსამართლო ვარ, შენ სამართლიანი და აბასისწიარით აღიარე: მე შემსახურები თუ ტყბილ თაფლსაო, — მიუგო ფუტკარმა.

აღ. მირიანაშვილი.

როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება.

(მოთხრ. ზოოლოგიის პროფეს. ბ. ნ. ბოგდანოვისა)

(შოსუფი თაგვის ნახაზი).



ქრისტიანული ნადირობიდან დაგბრუნ-
დი, დაიწყო ძიამ, სადილი ვუჭ-
მე და დასასვენებლათ ტანტსე
წამოვწედი. შემთხვევით, აგერ აიქ, იატაკსე
სუფრიდან ზურის ნატყესი გადავარდნილიყო,
სუფრას ააღაგეს და ოთახში მარტო მე დავრ-
ხი. ჩამოვარდა სინუმი. შევხედო, სოროდან
თაგვას ცხვირი ამოჭეო. ის მეტათ მკვირცხ-
ლათ ათამაშებდა უღვაძებს, ცხვირს ხან
აქეთ მიიღებდა ხან იქით და სუნავდა. ეჭ-
ვით დამსტერდენ თაგვის თვალები, მაგრამ მე გაუნძრევ-
ლათ ვიწედი. თაგვი დარწმუნდა, რომ აქ საშიში არა არის-
რბო და გამოძვრა სოროდან, იგი უწინდებურათ ფთხი-

ლათ იუურებოდა აქეთ-იქით და თან ჰურის ნატყსს უს-
ლოვდებოდა. თავს იმავე სოროდან, რიგ-რიგობით მოჭყუა
შვიდი ჰატარბ თაგუნა. თვითოეული მათგანი დედის ნახე-
რის ტოლაც არ იყო. მიიზბინეს ჰურთან და სარბათ ჭამა
დაუწევს. ჯერ მშვიდობიანათ, მშურათ შეექცოდენ, მაგრამ
ჰური რომ მიიღია, ველარ რიგდებოდენ; დაიწვეს წრინი
და ჩხუბი, ერთი ალიაქოთი ასტყეს. დედა თავვი ხან ერთს
უნქეტდა, ხან მეორეს, რომ კაფხუბებინა მუვირალა მანხუბ-
რები. ვუურებდი და მეცინებოდა. ორი თაგუნა ერთი ჰა-
ტარბ ნამცეცის გულისთვის ისე დაეტაკენ ერთმანეთს, რომ
ორივე რამდენსამე ხანს იატაკზე გორავდენ. კანთავეს ჰური
და თაგვები ოთახში გაიფანტენ. ერთი კუთსე არ გადარ-
ხათ დაუთვალეირებელი; სჭამდენ, რაც-კი შესვდებოდათ შე-
საჭმელი. ბოლოს, თითქოს უველანი გაძინენო, მოჭყენ
ცხვირების წმენდას. შემდეგ შემოესვიენ დედა თავს და
სვეწნა დაუწვეს: კვიამბე, რაღაც ამბავს რომ დაგვპირდიო,
აი სამეცნიერო მიზნით რომ გიმოვსაურიაო.

და აი რა უამბო დედა თაგვსა შვილებს:

«რაც აქ გადმოვსახლდი, დიდი ხანი არ არის; ეს ის
დრო იყო, როცა თქვენ უნდა განენილიყავით ქვეყნათ. კა-
მოვეცალე იმ სასოგადოებას, რომელშიაც ვცხოვრობდი,
რომ გადამეჩინეთ თქვენი საკუთარი მამისაგან; მემიოდა
არ დაეჭამეთ. მამისაგან შვილების შეჭმა თაგვებში იშვიათი
მოვლენა არ არის. გავაკეთე ბოთლში ის თბილი ბუდე,

რომელშიაც თქვენა გმინავთ სოღმე. ჩვენს მეტი აქ სხვა
 თაგვი არ არის.

ეს მაწუსებს მსოფლით, რომ თქვენ მეტათ ნებივრათ და
 უსრუნველათ ისრდებით. მოგძივათ — წრიანს მორთავთ და
 მაშინვე სატმელი უნდა გიძოვნათ. ცხოვრებას თქვენ არ
 იყნობთ, უბედურება და მტრების დევნა თქვენ არ გამო-
 გიცდიანთ. მტრები-კი ჩვენ გვარს მრავალი ჰყავს. ბევრი
 განსცდელი მოგვლით ცხოვრებაში, ბევრი თქვენგანი გა-
 მოუცდელით გამოესაღმება წუთი სოფელს.

თქვენსავით ნებივრათ ეველა არ გასრდილა. აი, მაგა-
 ლითათ მე როგორ გავატარე ჰატარობა:

მე რომ დავიბადე, ჩემი დედ-მამა ჰურის ბელელში ცხოვ-
 რობდენ. ბელელის ჰატრონი ერთი მოხუცებული კაცი იყო,
 მეტათ მუნწი. ეოველ წლივ უმატებდა ასობით ურძებს იმ
 უშველებელ ბელელს. კარგათა ვცხოვრობდით მაშინ! კატე-
 ბი იქ არ შემოდროდენ, იმიტომ რომ ბელელს კარი არსაი-
 დან ჰქონდა — მუნწ ჰატრონს ემინოდა სორბალი არავინ
 მომპაროსო და სანათურს არ უკეთებდა. ჩვენც ეს გვინდო-
 და, ჰატრონებათ ჩვენ გავუსდით სორბალს. გავიდა ხანი და
 იმ ბედნიერ ცხოვრებას ბოლო მოუღო. მოხუცი მოკვდა.

მისმა მემკვიდრეებმა მაშინვე სულ მთლათ გაუიდ-გამო-
 ეიდეს სორბალი და ბელელი დაცალიერდა. გაკვიჭირდა
 ცხოვრება. სატმელი ადარბ გვქონდა და შიშილი-კი კარს
 ვკეკავუნებდა. მე მაშინ ჯერ ჰატარა ვიყავი. თქვენ ანლა

არს გაკლიათ-რს და მსოფლიო სისხრბით ნამტყვის გულის-
 თვის ერთმანეთს ეხსებებით. წარმოიდგინეთ, რაღა უნდა
 გვექნა იმ სამინელი შიმშილობის დროს: თავ-განწირული
 ბრძოლა იყო ატვისილი თავგებებს შორის, ბრძოლა სიკვდილ
 სასიცოცხლო — სოკვერ უბრალო ჭილის ნაგლეჯის გუ-
 ლისთვის. ჩნებში ვინც მოკვდებოდა, იმას უცბათ შეჭამ-
 დენ ხოლმე. ჩვენ ჰატარებებს და უძლეურებს დიდრონები
 უსინიდისათ გვექცოდენ. დედაჩემი მოკლეს და დაურჩით
 რვა ობოლი. შიმშილობას დიდმა თავგებმა სათითაოთ და-
 ჭამეს ჩემი ძმები და დები, ორიც საკუთარმა ძამამ შეჭამა.
 დაურჩი ცოცხალი მარტო მე და ისიც იმიტომ, რომ სხვებ-
 შე უფრო მარდი ვიყავი; ვინაოვნი ჰატარა, ვიწრო სორო
 და იქ ვიმალებოდი, როცა დიდი თავგები გამოძიდებოდენ.

ამ გვარი ცხოვრება, განუწვევებელი დევნა და შიმშილი ვე-
 ღარ ავიტანე და გადავწვიტე წავსულიყავი სხვაგან სადმე,
 მოძებენა უკეთესი ადგილი საცხოვრებლათ. წამოვედი ბნე-
 ლი ბედელიდან, მაგრამ პირველათ ძლიერ შემინოდა. იქი-
 დან წამოსული თურმე ბაღში შევსულიყავი. ირგვლივ ჩემ-
 თვის ეველბაფერი უცნობი იყო. ეოველი სმაურობა, ან მომ-
 რაობა, ეოველი ფრინველის გადაფრენა შიმშის ჟრუნტელს
 მკვრიდა; მაშინვე ან ფოთოლს ამოვეფარებოდი, ან იქ-
 ვე, საცა ვიდექ, გავინაბებოდი და ვიტურნებოდი. გადავსწვი-
 ტე ერთ დღეს დამეცადა, აღარსად წავსულიყავი; ამოვეფა-
 რე წაქცეულ, გამხმარ ბალახს და იქიდან თვალ-უურს ვა-



ღვეწები, რა ხდებოდა ირგვლივ. უწინ ამისთანა არა მენახა-რა; გარშემო ეველაფერი მშვენიერი იყო. ირგვლივ მწარე ბალახი და მრავალ გვარი ყვავილები მოჩანდნენ; ეველგან მოძრაობა და სიცოცხლე იყო; ეველა მსრიდან მწუიბრი ხმები მოისმოდა. სინათლე, მოძრაობა და ხმაურობა თვალსა მჭრიდა და უურს მიურუებდა, მიაძებოდა კიდევ და თანაც მეძინოდა.

თან-და-თან შევეჩვიე ჩემ ახალ მდგომარეობას და უფრო თავისუფლათ დავიწეე აქეთ-იქით ცქერა და თვალ-უურის ღვეწება. იქვე ახლოს მოცხარის ბუჩქი იყო, შუაგულ ბუჩქიდან ბუდე მოჩანდა, რომელშიაც სუთი ჰატარა ჩიტი იჯდა. ბუსუსით დაფარული, ევითელ-ნისკარტებიანი თავები ბუდიდან ამოეფოთ და მედიღურათ ეჭირათ. მაგრამ იმ მედიღურებაში მალე გამოაშკარავდა იმათი უსასურობა და სისულელე. ეოველი ფრინველის გადაფრენასე, ან ჰატარა ნადირის ფეხის ხმაზე, ღლანები მოცოცხლდებოდნენ, ევითელ ნისკარტებს გააღებდნენ და წრიპინებდნენ — საჭმელსა თხოულობდნენ.

— «გვაჭმე, გეძინან, გეძინანო!» ისმოდა იმათ წრიპინში. თუმცა დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც თქვენც, შვილებო, ეგრე მთხოვდით საჭმელს და ჩემი ტკბილი რძის წოფის მეტი სხვა სურვილი არა ექონდათ-რა.

მალე მურა (წაბლა) ჩიტი მოფრინდა, ნისკარტში ჭია ეჭირა და ხასხას ჩასჩარა ერთ ღლანს. ის წავიდა, ახლა

მეორე მოფრინდა; იმან ჭია მეორეს ჩაუდო. ასე მთელ დღეს ის ორი ჩიტი დაუღალავათ ეხიდებოდა ჭია-ლუას და გაუძაძლარ ბარტყებს აჭმევდა. ვინ იცის, რო დაბნელდა იმიტომ, თუ მართლა გაძლენ, სოლო საღამოსე ღლანჭები დაწუნარდენ და დაიძინეს. დედა ჩიტი ბუეში ჩაჯდა და სუთივეს ფრთები გადააფარა. მძალი-კი იქვე ხეზე შემოჯდა და გალობა დაიწყო. მე უწინაც არა ერთხელ გაძიგონია ის გალობა, ბედელში რომ ვცხოვრობდი მაშინ მეგონა, რომ ამისთანა ხმის ზატრონი უთუთ ღამასი და მორთული უნდა იუვეს-მეთქი. ბაღში-კი გავიგე, რომ ის საუცხოვო ხმები ზატარა მურა ჩიტს ეკუთნოდა, რომელსაც სილაძასით მეც-კი არ ჩამოუვარდები.

გატაცებით, თავ-დავიწყებით ძღეროდა ჩიტი; თვალები დასუჭული ჰქონდა. იმის საუცხოვო სტვენაში ისმოდა სიცოცხლე, ბედნიერება, ის ბედნიერება, რომელსაც მე დავუძებდი, მწუროდა და მეც გაძიტაცა გალობამ. უცებ რაღაცა ჩრდილმა გაღიბინა ბუჩქის ტოტებზე. გაისმა გულ-საკლავი ხმა — ის იყო უგანასენელი განძარება მოძღვრალი ბუღბულისა; შემდეგ დავინახე, რომ მოძაკვდავი ჩიტი კატის კლანჭებში ფთხიანებდა. შემინებული მეუღლე აფრინდა ბუღიდან, მაგრამ იმ წამს გამოჩნდა მეორე ჩრდილი და ამ საცოდავმაც ფრთხილი დაიწყო ბუს კლანჭებში.

მიძისა და მწუნარების ქრუანტელმა დამიარა მთელ ტან-

ში. საჩქაროთ გავშორდი იმ ბუჩქს. ეგეც შენი ბედნიერება! რაღა ეშველებათ გაუძამდარ და უსუსურ ღლანებს? ვფიქრობდი ჩემ გულში.

აქ შიშშილმა მეც მაკრძნობინა თავი. შიშმა ძაღვ გადამიარა; ჩამობნელდა და სიბნელემაც ცოტა გამამხნევა და ბაღში აქეთ-იქით სიარული დავიწყე. ხან ბალახს დაუწევე დეჭა, ხან სის ქერქი გავკნიტე, მაგრამ ეველა ეს უგემური გამოდგა, მწარე ან ცხარე.

ბოლოს ბედზე მარწევის კვლებს წავაწყდი და ვერ წარმოიდგენთ რა სიამოვნებები დაუწევე ჭამა წელიან და სუნელივან სილს! ის იყო ერთი-ორი მარწევი შევჭამე და შევხედო მარწევის ფოთლებიდან ცხვირი ამოყო და მერე სულაც გამოჩნდა ჩემი კვარის ცხოველი.

სწორე გითხრათ არაფრათ მეჭამნიკა იმისი შესუდრა. გამოცდილებით ვიცოდი, რომ ნათესაებზე შურინანი — მოურიდელები არავინ არის, და ამიტომ ვფიქრობდი გამოვთხოვობდი გემრიელ საჭმელს. აგრეც მოხდა. ის ჩემი მსგავსი ცხოველი თურმე ტუის თაკვი იყო, ჩემზე გაცილებით დიდი — ბუნების მეტეველნი — *mus sylvaticus*-ს ეძახიან. იგი დაჭაბტრონებოდა გემრიელი მარწევის კვლებს. დამინახა თუ არა მაშინვე თვალები სისხლით ავესო და თვალის-დასამსამებაზე ჩემთან განხდა. ის იყო კბილები უნდა გავერა ჩემთვის კისერში, მაგრამ გავუსხლტი და გავიქეცი, რაც ძალი და ღონე მქონდა. მთელი შემდეგი დღე

ერთი ხის ფესვების ქვეშ შიშში და კანკალოში გაავატარე. შიშშილი მარწუხებდა, მაგრამ საფაროდან გამოსვლისა მუში ნოდა.

განთიადისას, ის იყო უნდა ერწრაყნა, რომ კვლებიდან წრიზინი შემოქმემა. გამოვიხედე ჩემი ბუნაგიდან და აი რა დავინახე: რომელიღაც კმელი და შავი, ვვითელ-მუცლიანი ნადირი ჰირით მიათრევდა სწორეთ. იმ ქერა თავკს, რომელიც ისე უსამართლოთ მოქექა. აი რა შესძღვნა იმას ძალაობამ და ბოროტებამ, იმასაც გამოუჩნდა უფრო დონიერი და ბოროტი მტერი. ის ნადირი, როგორც შემდეგ შევიტყე, თავკების დიდი მტერია, «დედოფალას» ეძახიან. ერთდეთ მაგ ნადირს და თუ გაიგოთ სადმე მისი გაჩენა, მოშორდით იმ ადგილს, მიანებეთ თავი თქვენ ბუდეს, სასლს და გაიქეცით. საცა-კი დედოფალა დაბინავდება, იქ თავკები ველარ იხეირებენ და თუ დროსე თავს არ უშველეთ ვეელას დაგანწრობთ ის გაუძამდარი, შეუბრალებელი.

დაუწუე სვერა. დედოფალამ მიარბეინა თავკი ერთ ძველ თელასთან და სმა მისცა. სმასე თელის ფესვების ქვეშიდან სუთი ლამაზი, ჰატარა, ესე ჩემი ტანის, დედოფალა ამოსტა. დედამ თავკი დაუდო, ისინიც ხარბათ ეყენ საჭმელს, ისე როგორც წელან თქვენ დაესვიენით ჰურის ნატყეს. უჩნებრათ ვერც იმათ შეჭამეს თავკი. დედა მსოლოთ მახსებრებს აშველებდა, თავკს-კი თითონ არ მიჭკარებია.

შეჭამეს თავი და ჰატარბ დედოფალები ისევ თავიანთ სოროში ჩაძვრენ, დედა დედოფალა-კი გაბრუნდა, ალბათ კიდევ თავკის დასაჭერათ. უველაფერი მიწუნარდა და ის იყო ბუნაგიდან გამოსვლა და მარწუვისაკენ გამკსაჯრება დავაპირე, რომ უკანიდან აჩქარებული ფეხის სმა მომესმა. მივიხედე და საშინელი არსება დავინახე. იგი ბუნებებიდან გამოსულიყო და ჩემსკენ მორბოდა. ბაღის მავიერ კმელი ნეკსები ესნა. ცხვირი-კი თითქმის სულ ტიტკელი ჭქონდა. იმის თვალებს ბოროტი და იმავე დროს სულელური გამემეტყველება ჭქონდა. შავ ცხვირს აქეთ-იქით ატრიალებდა და ძალზე ისუნთქავდა ჭაერს. როგორც შემდეგში შეკითვე ის ცხოველი ზღარბი იყო. ისიც თურმე დიდი მტერია მინდვრის თავკისა. მოკლე ფეხებს ჩქარ-ჩქარა აბიჯებდა; ხან გაიქცეოდა, ხან ისევ შედგებოდა. თავკის სუნი ეცა, შედგა და დიდხანს ატრიალებდა დინგს, ბოლოს ამიქცია გზა და იქითკენ გაექანა, საიდანაც თავკის სუნი მოდიოდა. დედოფალების მონარჩენ თავკთან რომ მივიდა ჯერ გორგალივით დაეხვია, მართო უშველებელი ქშინვა და გორბობა; მერე ნელ-ნელა გაიძალა, გამოჭყო ისევ ცხვირი და სუნვა დაუწყო. შემდეგ ხარბათ ეცა თავკის ნაწილებს და ძალე მთლათ შეჭამა. გაათავა და ბაღასებში მიიძალა.

კოტე ელიოზიშვილი.

(შემდეგი იქნება)



სანამ გლენხმა არ იყიდა
სულ უბრალო ჩაღის ფასათ.

—
სტქვა: წაუღებ სახლში ბავშვებს
ხეების ტყავ გასაძრობათ,
თვარა—ისე რა შეილია?
ვის რათ უნდა რა ოხრობათ?

—
რომ ჩაიდღეს ხმალი ხელში
ყმაწვილებმა—გაიხარეს;
გაუკეთეს ხის ქარქაში
და ხის ტარში გაუყარეს.

—
ხან ჩიქნიდენ წვერით მიწას,
ხან ურტყამდენ ლობე-ყორეს,
წარამარა ჩახა-ჩუხით
პარი ყუას გაუსწორეს.


—
თაგმა უთხრა: ერთხელ ხმლებზე
ბეერი ქება მსმენიაო
და შენ მაგრე, რომ გიყურებ,
შენ მაგიერ მრცხენიაო!

—
აბუჩათ ხარ აგდებული
პატივიც-კი აგზადესო
და ბაღლების—უსუსურის
სათამაშოთ გაგზადესო!

უპასუხა: მართალი ხარ!
 განა მაგას ვინ არ გრძნობსო!
 ეგ იმისი სირცხვილია,
 ვინც აეს და კარგს ვერა სცნობსო.

—
 რომ იცოდენ ჩემი თასი
 მომიხმარდენ სხვა გეარადო
 და ახლა-კი მაგათ თვალში
 აღარ ეღირვარ არც თვარადო.

ჯეჯი.



ბოროტი კუზიანი.

I



თახში შემოირბინეს ორმა ბავშვა.

— დედა, დედა! შესძახა შეიდი წლის ეახმა. — როგორი მახინჯი ადამიანი ენახეთ! მე საცილი ამიყარა! ქუჩაზე მიდიოდა, კანდიტერის მაღაზიაში შევიდა. ჩვენ განგებ თანჯარასთან გაეჩერდით და ეუცქეროდით, კამფეტებს როგორ ყიდულობდა. კისერი მთლათ მხრებში ჩასძრომოდა, ზურგზე უშველვებელი კუზი ჰქონდა, ნაღოს შეეშინდა კიდევ.

— შენ არ მითხარი, მოგიტაცებსო? კუდიანია, ბოროტია კუზიანო! ბავშვებს იტაცებსო! ტიტინებდა პატარა გოგონა. — შენ გაიქეცი და მეც გამოგყევი!

— მე გამოვიქეცი, რომ დედისთვის მეთქვა: ის ბოროტი კუზიანი კანდიტერის მაღაზიიდან პირ-და-პირ ჩვენი სახლისკენ წამოვიდა და ეგონებ მამას სამეცადინო ოთახშიაც შევიდა-თქო, შენ-კი შეკეშინდა. მშიშარა!

— რათ აჯაერებ, ეგ შენზე პატარაა, შენვე შეგიშინებია, უთხრა დედამ.

— მე ვეხუმრებოდი, მაგას-კი შეეშინდა!.. ეგ რომ სულელი იყოს—მე რა!..

— შენ მაგაზე უფრო სულელი ხარ; პატარა დაც შეაშინე და

სისულლეც ჩაიღინე. უთუოთ აწყენინე რამე იმ საწყალ ადამიანს. ხომ არ დაგვიწყდა თქვენი უცნობი ნათლია — ბიძია სანდრო, რომელსაც თქვენ ისე გატაცებით უყვარხართ, ისიც ხომ კუზიანია?

— კუზიანია?!... ჰო, ჰო, დედა, შენგან გამიგონია! წაილულულულა დარცხენილმა პავლემ. — მაგრამ ის ისეთი სასაცილო შესახელი ხომ არ იქნება.

— პაეღე, სასტიკათ უთხრა დედამ, მე შენთვის რამდენჯერ მითქვამს, რომ ავთმყოფობით დამახინჯებულს თავის ღღეში არ უნდა დასცინოდე. რა იცი, იქნება შენც ისე დაგემართოს?

— მე!? არასოდეს! შეჭყვირა შეშინებულმა პავლემ.

— მე არ მინდა, დედა, რომ პაეღე კუზიანი გახდეს! წამოიძახა ნადომ და შეშინებული თვალებით მიაშტერდა დედას.

— პაეღე რომ კუზიანი გახდეს ეს არც მე მინდა, შეილო, ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ უბედურობა ყველას თავზეა. ბავშვები ხომ ხშირათ წაიქცევით ხოლმე; კუზი-კი იმას უჩნდება, ვინც სიყმაწვილეში ზურგს გაიტეხს.

— არა, არა, დედა!... მაშ მე თავის ღღეში აღარც ვირბენ, აღარც ავალ რამეზე, რომ როგორმე არ ჩამოვარდე და კუზიანი არ გავხდე.

— მეც! შესძახა ნადომ.

— დედა! მართლა იმ წარსულ კვირას გამდელის ყუთს შუბლი მივარტყი და კოპიტი დამაჯდა!... უთუოთ კუზიც ასე იქნება, არა? თქვა პაეღემ.

— არც ასე ადვილათა ჩნდება კუზი! ღიმილით უთხრა დედამ. შუბლზე კოპიტი უცებ აბურცდა და მალეც გაქრა, კუზი-კი დიდხანს ნელ-ნელა იზდება, მთელი წლობით და აღარც ქრება. მერე როგორი ტყვიელები იცის! საწყალი ბიძა თქვენი სანდრო კინალამ მოკვდა, სამი წელიწადი ფეხზე არ ამდგარა, სიარული არ შეეძლო. მადლობა ღმერთს, თუმცა კუზიანათ დარჩა, მაგრამ სრულებით გასალდა.

— საწყალი ძია! რა კეთილია! ყოველ წელიწადს სახალწლო ხისთვის სათამაშო ნივთებს გვიგზავნის ხოლმე.

— ჩემი დიდი ტყინი ძიამ არ გამომიგზავნა? დაუმატა ნაღამ.

— მე საათი და თოფი გამომიგზავნა, ისეთი საათი, როგორც ნამდვილი. მერე შემომითვალა, გიმნაზიაში რომ წახვალ ნამდვილ ოქროს საათს გაჩუქებო.

— ჰო, ნახეთ! თქვენ-კი დასცინით, აჯაერებთ საწყალ ავთ-მყოფს, შენიშნა დედამ. ეინ იცის? შეიძლება იმასაც საწყალ ძია სანდროსავეთ დაემართა. სანდრო პატარაობაში მეტის მეტი ვულ-კეთილი იყო.

— დედილო, შენ აკი დაგვიბრდი ძიას ამბავს მოგიყვებითო. აქამდის-კი არა ვითქვამს-რა. უთხრა პაელები.

— გვიამბე დედილო! მე ძრიელ მიყვარს ზღაპრები. ეხვეწებოდან ხუთი წლის გოგონა, თანაც მუხლებზე აჯდებოდა.

— სულელო! აღერსით უთხრა დედამ. — ეგ რა ზღაპარია, ეგ ხომ ნამდვილი ძიას ამბავია, გვიამბობთ, წაგიკითხათ კიდევ. ძიას ამბავი განგებ მაქვს დაწერილი, რომ თქვენ წაგეკითხათ და ძია სანდრო უფრო ძრიელ შეგყვარებოდათ. მაგრამ ახლა-კი არა, ახლა არა მცალიან. აი თქვენი მასწავლებელი ქალიც მოდის; წადით ზევით, იმეცადინეთ. შენ პაელებ კარგათ ისწავლე, ფრანგული სწერე და იკითხე. შენ-კი, ნაღო, ასოიანი სათამაშო ნივთები რომ გაქვს, ისინი გაშალე.

— მაშ როდის-ღა გვიამბობ ძიას ამბავს?

— მალე გვიამბობთ, ახლა წადით, ნუ მიშლით.

II

მეორე დღეს პაელებ და ნაღომ ლოცვის შემდეგ ისაუზმეს და სასტუმროში დედასთან გავიდნენ.

— დღეს აღარ იმეცადინებთ, უთხრა დედამ.

— როგორ, დედილო! დღეს განა უქმეა? წამოიძახეს ბავშვებმა.

— დღეს ჩვენთვის დიდი უქმეა. დასხედით, წაგიკითხავთ დაბირებულ ამბავს. ბავშვები გახარებულნი დასხდნენ. მათ ისე ძრიელ არა უყვარდათ-რა, როგორც დედის კითხვა ან ვისიმე ამბის მოყოლა. დედამაც საქმე იქით გადადო, გაშალა პატარა რვეული და დაიწყო კითხვა:

„ერთ პატარა სოფელურ სანლში ცხოვრობდა ორი ძმის ოჯახობა. ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. სამსახურისა და სხვა საქმეების გამო მუდამ ერთათ ცხოვრება არ შეეძლოთ, სწავლიდნენ ყოველ ზაფხულს ერთათ ატარებდნენ თავიანთ პატარა სოფელში. ორივე ოჯახობას ჰყავდათ შვილები. ბავშვები მთელი ზამთარი სულ იმახანატრობდნენ: „როდის იქნება გაზაფხულდეს, რომ კიდევ ერთათ სოფელში გავატაროთ დრო, სადაც ბევრია ხილი, დიდი საქანელები, დიდი ტბა ნავითა და ხილით, მწვანით შემოსილი მიდამოები, საცა გაზაფხულობით ისე ბევრია ყვავილები, ზაფხულობით მარწყვი, შემოდგომობით კაკალი, სოკო და სხვაო!...“

სანდრო ჯერ ცამეტი წლისა იყო, გიმნაზიაში მშვენიერათ სწავლობდა. როცა სოფელში დაძმებთან და ბიძაშვილებთან ცხოვრობდა მეტათ უყვარდა იმათთან ცეცქობა. სანდრო კეთილი, მხარული და მალხაზი ყმაწვილი იყო, ყველას უყვარდა. გარდა ამისა სხვა ბევრი ღირსებითაც იყო შემკული. ვინ მოიფიქრებდა, თუ სანდრო ისეთი გამბედავი იქნებოდა! ერთი სოფელელი ბავშვი მდინარემ მოიტაცა, იხიზობდა, თურმე მშველელი არავინა ჰყავდა. სანდროს ბევრი არ უფიქრია, პირ-და-პირ ჩაცმული გადაეარდა წყალში; ის გადაარჩინა, მაგრამ თვითონ-კი კინალამ დაიღუპა. არავინ იცოდა აგრეთვე, თუ სანდრო ისეთი მომთმენი და გულ-კეთილი იქნებოდა, ვიდრე არ გავიგეთ, რომ ის მთელი წლის განმავლობაში გიმნაზიაში მშვენიერი რჩებოდა; კვირაში საუზმისთვის მამა ერთ მანეთს აძლევდა, ის კი ამ მანეთს თურმე ერთ ღარიბ ობოლს ახმარებდა. ეს არავინ არ იცოდა, ვიდრე სანდრო ავით არ განდა. ის რამდენსამე დღეს შინ

დარჩა, ღარიბი ამხანაგის დარღმა შეაწუხა, ბევრი იყოყმანა, ბოლოს დედს შეეხევეწა ობოლი ამხანაგისათვის მიეხედნა; დედამაც აუსრულა თხოვნა და ისე ზრუნავდა ამ ობოლზე, როგორც სანდროზე, ვიდრე გიმნაზიას გაათავებდა...“

— სანდრომაც ხომ გაათავა გიმნაზია? გააწყვეტინა კითხვა პაე-
 ლემ.

— არა, ჩემო კარგო, სანდროს გიმნაზია არ გაუთავებია, ავით
 გახდა.

— უჰ, საწყალი! რა მოუვიდა დედა?

— უთუოთ ბევრი მურაბა ჰქონდა და ავით გახდა! თქვა ნადომ,
 რაკი მოაგონდა, რომ ამ წინაზე ამასაც ისე დავმართა.

— არა, ნადო! ის ისეთი სულელი როდი იყო. აი ყური
 მიგღეთ:

„სანდროს ძრიელ უყვარდა პატარების გართობა, მათთან თამა-
 ში. პატარა და ძმებსაც ის უყვარდათ. მარტია სანდროს შეეძლო მათი
 აღვრისი, მათი ყურის გდება, წაშლის დაღვეინება. სანდროს ყველა-
 ზე ძრიელ უყვარდა თავისი ერთი ბიძაშვილი ოლა, ისე ექცეოდა,
 როგორც ტიკინას. ოლა სამი წლისა იყო, სანდრო-კი მეთოთხმეტე-
 ში იდგა, როცა ორივე ოჯახის პატარა ბავშვები წითელით ავით გახ-
 დნენ. ოლა მაშინვე ზემო ოთახში გადაიყვანეს, იმიტომ-კი არა, რომ
 წითელი არ შეჰყროდა, ბავშვებმა უთუოთ უნდა მოიხადონ წითელი;
 ოლა ის იყო მორჩილი საშინაო ავთმყოფობისაგან და ეშინოდათ წი-
 თელას უფრო არ დაესუსტებინა. ოლას დედ-მამა წყლებზე საექი-
 მოთ იყვენ წასული“.

— დედა! გააწყვეტინა პაელები—ოლა ვინ არის, შენ ხომ არა
 ხარ?

— არ ვიცი, ღიმილით მიუგო დედამ. შემდგომი შეიტყობ, ახ-
 ლა-კი ნუ მიშლი, საცაო სტუმრები მოვლენ და წაკითხვას ვერ მო-
 ვასწრობ.

III

„წითელამ გაუარა ბავშვებს. წითელა ნახადი ბავშვები სხვა ოთახში გადაიყვანეს, ოლა ბავშვების ოთახში უნდა გადმოიყვანათ, მხოლოდ ოთახის გაწმენდა, დასუფთავებას-ლა ელოდენ.

ოცი იელისი იყო, სწორეთ ელიაობა დღე. მთელი დღე ძრიელ ცხელოდა. აქა-იქ ღრუბელიც გამოჩნდა, დაიქუხა კიდეც, მაგრამ ამ საღამოთი წვიმა არა ყოფილა, ბავშვები ჯალში თერმონიას (ჩაი) სემოდენ, ცეკობდენ. როგორც ყოველთვის გამოგმზვიდობდნენ ერთმანეთს და დასაძინებლათ გაეშურენ. ის იყო ხმაურობა მიწყდა და ატყდა ქექა-ქუხილიც. უცბათ ისე დიდი ხმაურობა გაისმა, რომ ყველას გამოეღვიძა, ოლაც-კი წამოეარდა ლოგიეიდან და შეჰყვირა. გამდელსაც გამოეღვიძა, მაგრამ ადგომა დაეზარა.

— რა ეყუოთ რომ წვიმას აპირებს, ისეე გადიღებს, დაიძინე, დაიძინე, ჩემო კარგო, ოლა, ეს უბრალო ქუხილია, ახლავე გაიღლისო, დაამზვიდა გამდელმა. ოლას ჩაეძინა, მაგრამ ძიღმა დიდხანს არ გასტანა. ხალხის სირბიღმა, ხმაურობა-ყვირიღმა ხელ-მეორეთ გამოაღვიძა. თვალები გაახიღა და გაკვირვებულღი დარჩა, ეს რა ამბავია?! გათენებულა?!.. როგორღი ჭახჭახა მზეღა! ფიქრობს ოლა—არა, მზის შუქს არა ჰგავს! ეს ცეცხლის აღია!.. დიდი ცეცხლის აღი! ცეცხლის აღი ხან აქედან, ხან იქედან უფლიღა ფანჯრებს, პატარა მოაჯირის მოუახლოვღა კიდეც,—ძიღა! ძიღა!.. წამოიძახა შეშინებულმა ოლამ, წამოხტა ლოგინიდან და მიეარღა მძინარე ძიღს. ძიღა წამოეარღა, აქეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდღა და შეშინებულმა გიჟიღით მორთო ყვირიღი: გვიშველეთ, ვიწვით! ღეთის-მშობეღოღა, ქალწუღოღა! გადაგვარჩინე განსაცდელს! შეჰყვირა ძიღამ, დაეღო ოლას ხელი და გავარღა კიბეზე. კიბე უკვე ცეცხლს შთაენთქა. ბავშვების ოთახიდან დიდი აღი გამოდიღდა, ეტყობოღა მეხი დასცემოღა ამ ცარიელ ოთახს და ცეცხლი უკვე გაჩაღებულღიყო, ვიღრე ნამძინარეღი ხალხი გონს მოვიღოღა. ძიღა უკანვე დაბრუნღა, შეეარღა ოთახ-

ში, კარები ჩაიკეტა, რომ კიბიდან ალი არ შეეარდნოდა. გვიშველეთ... გვიშველეთ... ყვიროდა გამწარებული. უთუოთ დიდ ალიაქოთში ისინი აღარაეის მოაგონდა. ოთახებიდან ყველას მოესწრო გასვლა. ბავშვები, მოსამსახურენი ეზოში გარბი-გამორბოდნენ, ხალხი მიჰხვეოდა ცეცხლს და ცდილობდა ჩაექრო. წვიმა არსად იყო. ცეცხლის ალი უკვე შთანთქმას უპირებდა იმ ოთახს, საცა ოლა და ძიძა იყვნენ მომწყვდეულები. ყველა გონება დაფანტული დადიოდა. ერთათ ერთი სანდრო-ლა იყო თავდარიგის დამკერი, მარტო ის-ლა უტირობდა ყველაფერზე. უცბათ მივარდა დედას და შესძახა:

— დედა, ყველა გამოვიდენ ოთახიდან? ხომ არაეინ დარჩენილა?... ბავშვები ხომ ყველა აქ არიან?

— აქ არიან ყველა, შეილო, მადლობა ღმერთს! აი, გრიშა, მანია, ლენა, გოლა, ლიდა...

— ოლა სადლაა? შეჰყვირა სანდრომ.

— ოლა? ძიძა! სად არის ოლა? ოლა! ყოველ მხრიდან გაისმა ძახილი. არსაიდან პასუხი არ ისმოდა.

— ოხ, ღმერთო! უთუოთ იმათ ისეე ძინაეთ. კიბე ჩქარა, კიბე! გაისმა სანდროს ხმა და გაეჩანა მთლათ ცეცხლის ალით მოცულ სახლისკენ. ეიდრე გონება დაბნეული ხალხი კიბეს მიადგამდა, სანდრო ავარდა მაღალ ალვის ხეზე, რომელიც იქვე მოაჯირის ქვეშ ამოსულიყო და თვალის დახამხამებაზე ოლას ოთახის შუშაბანიდან კარებთან გაჩნდა.

— აქეთ, მოაჯირისკენ კიბე! გადმოსძახა სანდრომ და გაეხვია ცეცხლის ალში. ყველას მისი იმედი გადაუწყდათ. სანდრომ ერთის დაკერით შუშაბანიდან კარები ჩამტერია, შეეარდა ოთახში.

— ძიძა, ძიძა, მომყვიეთ! ჯერ საშიში არაფერია, ოლა, მოდი ჩემთან, ნუ გეშინიან! ამხნევებდა სანდრო ოლას და ძიძას. მერე ოლას ხელი დააელო, მიიკრა გულზე, გამოეარდა მოაჯირზე, ამ დროს კიბეც მიადგეს, ცალი ხელი კიბეს სტაცა და ჩამოსელა დაიწყო. ოლა

— ააა!... მაშ ის ოლა შენა ხარ, დედილო? მეც სწორეთ ასე ფიქრობდი. მე ვიცოდი, რომ შენ ძია სანდროს დაკუზიანების ამბავს გეიკითხავდი... ახლა ყველაფერი მესმის!... შესძახა აწითლებულმა პავლემ. ნადომ ძალზე თვალები დააჭყიტა. იმას ჯერ კიდევ არაფერი ესმოდა.

— ჰო, ჩემო კარგო, განაგრძო დედამ, — ჩემი ბიძაშვილი სანდრო არის სწორეთ ის ყმაწვილი სანდრო, რომელმაც დედა-თქვენი საშინელ სიკვდილს გადაარჩინა. მაშინ სამი წლისა ვიყავი. ძიძაც ცოცხალია. ცხოვრობს ძიასთან. ის ახლა ძრიელ მოხუცებულია ვეილო. სულ ეკლესიებში დადის და სანდროს ღმერთს ავედრებს. სანდრო ძიძას დიდ პატივსა სცემს, ანუ გვებს, ალბათ ღეთის განკებას ასე ნდომებიანო.

— კიდევაც იმიტომ არის სანდრო ისეთი კეთილი ძია!... წაილულულა პავლემ. დედამ ხელი ნიკაპში მოჰკიდა შეილს, თვალბეშში ჩაჰხედა და შეეკითხა:

— როგორ ფიქრობ, პავლე, სანდრო სიყვარულისა და პატივისცემის ღირსია, თუ დაცინვისა, რაკი კუზიანია?

— უჰ, დედი! როგორ შეიძლება! მიუგო მთლათ სირცხვილისაგან გაწითლებულმა პავლემ. — მე ახლა უფრო ძრიელ შემეიყვარდა.

— გინდათ გაჩვენოთ, როგორი იყო წინეთ სანდრო და როგორი არის ახლა? შეეკითხა დედა.

— მაჩვენე, მაჩვენე, შენი ჭირიმე, დედა! შეჰყვირეს ორივე ბავშვმა ერთათ.

დედამ ბავშვებს ჩასჰკიდა ხელი, შეიყვანა თავისს საწოლ ოთახში, გაღუშალა ალბომი და უჩვენა სურათი, სადაც სანდრო ლამაზი, წამოსადეგი და ჰკვიანური სახის გამომეტყველების ყმაწვილი იყო დახატული. — აი, ასეთი იყო სანდრო, ვიდრე მე გადამარჩინდა. ახლა კი როგორია. ეს სურათი გუშინ მაჩუქა და დედამ მისცა ბავშვებს მეორე სურათი, სადაც სანდროს ისევ ისეთი ჰკვიანური გამომეტყველება ჰქონდა, მხოლოდ კუზი მეტათ აუშნოვებდა.

— ეს გუშინ ჩვენ რომ ენახეთ, ის ბოროტი კუზიანია! შეჰყვარა გოცებულმა ნადომ. პაეღე-კი სირცხვილისაგან გაწითლდა, ჩაღუნა თავი და თვალებზე ხელები მიითარა.—მაშ ეს ის არის, დედა რომ გადაარჩინა და მე-კი სასაცილოთ ავიგდე! თქვობდა პაეღე.

ამ დროს კარები გაიღო და მამამ ხელ-დაქვრით სანდრო შემოიყვანა.

— ოლა, შეიძლება შენთან შემოვიდეთ? შეეკითხა სანდრო.

— შეიძლება, ჩემო ძვირფასო! მიუგო ოლამ. მე დიდი ხანია გელოდები და დედა მხიარულათ მიეგება პატარა კუზიან კაცს. — ამ დღეებში შეიღობი, რომლებსაც შენ საუცხოვო საჩუქრებით ისე ანებიერებ.

— აა, გამარჯობათ! მხიარულათ მიმართა სანდრომ ბავშვებს და გადაკოცნა.—მე ესენი გუშინ შორიდან დაენახე ბაღში და აბა რა ვიცოდი, ოლა, თუ შენები იქნებოდნენ. მაშ აბა დამეგობრდეთ, ჩემო გვრიტებო! გუშინ რათ გამირბოდით?

პაეღე არეულათ უცქეროდა ხან ძიას, ხან დედას და ვერა მოეხერხებინა-რა. დედის იმედი ჰქონდა, დამეხმარებო, მაგრამ დედა არა ჩქარობდა.

— უბასუხე ძიას! უთხრა დედამ — რათ გატრბოდი? პაეღე მთლათ დაბნეული იდგა, არ იცოდა რა ექნა. უცბათ წელში გასწორდა, თავი მაღლა აიღო, ძიას თვალებში შეაჩერდა და თქვა:—იმიტომ რომ გუშინ სულელი ვიყავ!

სანდროს გაეცინა, სხვებმაც სიცილი დაიწყეს.

— რაც მართალია, მართალია. დასძინა დედამ. მხოლოთ უნდა ეცადო შემდეგში აღარ მოიქმელო აგრეთი სისულელე. ამ დროს შემოიტანეს საუზმე და ყველა მაგიდას შემოაუსხდა. ძია მხიარულათ უამბობდა თავისს ყოფა-ცხოვრების ამბავს, რომელიც ძალიან საყურადღებო იყო. ბავშვები ძრიელ გაიტაცა მისმა ლაპარაკმა. პატარა ნადოს ძიას მუხლებზე დაებჯინა ხელები და გაშტერებით შესცქეროდა თვალებში.

— შენ კეთილი ხარ! მიყვარხარ... ტიკტიკებდა ნაღო.

— აი, ჩემო ძვირფასო გოგონა, ვგ მესიამოვნა, დიდი მადლობელი ვარ! უთხრა ალფრესით ძია სანდრომ— ახლა თქვენ რომ იცოდეთ მე როგორ მიყვარხართ, წავიდეთ გიჩვენოთ, როგორი სათამაშო ნივთები მოგიტანეთ. ყველანი წავიდენ, რომ დაეთვალიერებინათ, თუ როგორი მშვენიერი სათამაშო ნივთები მოეტანა „ბორბოტი კუზინანს“.

თამა.

(თარგმანი)

დაწვ.
 ში





პირამი და თისბა,

ანუ როგორ გაჩნდა სართუთა.

თელს დედამიწის ზურგზე პირამისთანა ეაყვაცი და თისბაზე სიმშენიერით განთქმული ქალიშვილი იშვიათათ თუ სადმე მოიძებნებოდა. პირამისა და თისბას სილამაზე, ახოვანი ტანის-მოყვანილობა ყველას ერთხმით სამაგალითოთ ჰქონდათ მიჩნეული. ახალგაზდა ჭაბუკთა სამშობლოს მკვიდრნი, დიდი და პატარა, მოხუცი და და ახალგაზდა, ყველანი საოცნებო, სანატრელ არსებთ ატარებდნენ გულში გულითადი მეგობრების სახელის ხსოვნას. პირამი და თისბა მეზობლათ ცხოვრობდნენ. ყმაწვილობიდანვე პირამი და თისბა გულითადი მეგობრები იყვნენ, მათ ერთმანერთი გაგიჟებით უყვარდათ, პირამი მთელი თავისი არსებით თისბას ეკუთვნოდა, თისბა—პირამს. დრო რაც უფრო და უფრო გადიოდა, ახალგაზდებთა შორის სიყვარული, მეგობრული კავშირი და განწყობილება თან-და-თან ძრიელდებოდა. ამ მეგობრულმა კავშირმა ისე მძლავრათ გაიღვა ფესვები, რომ პირამს უთისბოთ და თისბას უპირამოთ სიცოცხლე შეუძლებლათ შიანდათ.

დიდის ფიქრის შემდეგ გულითად მეგობრებმა გარდაწყვიტეს თავისი მჭიდრო მეგობრული კავშირი ერთმანეთის შეუღლებით, დაქორწინებით დაეგვირგვინებიათ. მაგრამ, დახე უბედურებას, ორივე ახალგაზდების მშობლები წინააღმდეგი გახდნენ ამდენი ხნის გუ-

ლითადი მეგობრების დაქორწინებისა. პირამი და თისბა დიდ საგონებელში ჩააგდო, მეტათ დაალონა მშობლების ამგვარმა წინააღმდეგობამ. მშობლები ისე სასტიკათ მოექცენ ერთმანეთისათვის თავგანწირულ მეგობრებს, რომ ერთი მეორეს ნახვასაც-კი უკრძალავდნენ. მშობლები მეგობრებს რაც უფრო სასტიკათ ეპყრობოდნენ, მეგობრული კავშირი პირამსა და თისბას შორის მით უარეს ძრიელდებოდა.

პირამსა და თისბას ოთახებს მალალი უხმო ქვის კედელი ამორისშორებდა. ამ უზარმაზარ კედელში შემთხვევით დარჩენილიყო პატარა ჯუჯრუტანა, რომელიც თავის დღეში არავის არ შეუმჩნევია. პირამმა და თისბამ ისარგებლეს კედელში დარჩენილი პატარა ჯუჯრუტანით და მთელი დღე და ღამე განუწყვეტლივ სიყვარულის კილოთი ჭიკჭიკობდნენ და ჭიკჭიკობდნენ. მეგობრები ერთი მეორეს ნახვის სურვილით იწოდნენ, ერთი მეორეს შეხედვას, პირის-პირ აზრების გაზიარებას ლამობდნენ; ხოლო უხმო და უგრძობ მათ შორის ამობურთულ ქვის კედელს, თითქო განკებ ცათამდის თავი მიუბუჯნიაო, აზრათაც არ მოსდიოდა გულითადის მეგობრების მწუხარების შემსუბუქება.

ერთ დღილას პირამმა და თისბამ შეჰკრეს პირობა, რომ საღამო ხანს ქალაქ გარეთ გასულიყვენ და საბოლოოთ რამე გადაწყვეტათ მომავალ დაქორწინების შესახებ. ქალაქს გარეთ ერთ-ერთ ბეჭობის კალთებზე საამურათ გადმოჩუხჩუხებს ანკარა წყარო. ამ წყაროს მახლობლათ იდგა მალალ ტოტებიანი თუთის ხე, რომლის ძირას უნდა შეხედროდნენ ერთმანეთს გულითადი მეგობრები პირამი და თისბა, აქვე პირის-პირ უნდა გადაეწყვიტათ საბოლოოთ მათი ასე გამოურკვეველი მდგომარეობა.

ღამის წყვილიდმა მოიცვა მთელი ბაბილონიის გარშემო მიდამო, როცა თისბამ მალეით დასტოვა სამშობლო სახლი და მეგობრის მიერ დანიშნულ ადგილისაკენ გამალებით გაეშურა. მეგობრის განუსაზღვრელმა სიყვარულმა თისბას თითქო ფრთები გამოასხა, იგი ელ-

ეასაგით სისწრაფით მიიჭრა დანიშნულს ადგილას, ჩამოჯდა ოთუთს ძირას და თავის მეგობარს მოუთმენლათ მოელოდა.

არ გასულა ერთი წამიც და მოჩუხჩუხე ანკარა წყაროს თავს უეცრივ წამოადგა უზარმაზარი ლომი, რომელსაც ამ რამდენიმე წუთის წინეთ მთელი გროვა ხბორებისა განადგურებინა და წყაროზე წყლის დასაღწევათ წამოსულიყო. თისბამ დაინახა თუ არა მხეცთა დიდებული მეფე, ფეხ-აკრფვით გაეშურა უშიშარ ადგილსაკენ, მაგრამ სიჩქარის გამო თუთის ძირას შემთხვევით დატოვა თავისი მშვენიერი ტანთ-მოსასხმელი. დიდებულმა მხეცთა მეფემ მოიკლა წყურვილი და დაბურულ ტყისაკენ მიეშურებოდა, როცა ხის ძირას თისბას ტანთ-საცმელი დაინახა. გაუმაძღარმა ლომმა ნაკუწ-ნაკუწათ აქცია თისბას ძვირფასი ტანთ-საცმელი თავისი გასისხლიანებული ტუჩით.

პირამი თისბაზე ცოტათი უფრო გვიან გამოვიდა ქალაქიდან და დაუყონებლივ მიიჭრა დანიშნულ ადგილას, მაგრამ, დახეთ პირამის განუსაზღვრელ განცვიფრებას! მან თუთის ხის მახლობლათ დაინახა ნაკუწ-ნაკუწათ ქცეული, სულ ერთიანათ სისხლში ამოსერილი, თისბას ტანთ-მოსასხამი. „ღმერთო!“ გაგიჟებით, სრულიად გონება დაკარგული, ღრტივად და საბრალო პირამი: „დეე, ეს საუბედურო ღამე სულ უკანასკნელი იყევს ორივესათვის! ჩემო გულითაღო მეგობარო, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, მე ვარ მიზეზი შენის უდროოთ სიკვდილისა, მე ვარ დამნაშავე შენს წინაშე, რომ ამ უღაბნოში გამოგიბატიე და თან-კი არ გამოგყევე! ჩამქოლეთ მე ბედშაევი და უბედური!“ პირამი გულისაკლავათ ქვითინებდა და თვალთაგან ცხარე ცრემლები ნაკადულეზერ გადმოსჩქეფდა. გასისხლიანებული თისბას ტანთ-საცმელის ნაგლეჯები პირამმა ერთათ მოაგროვა. საბრალო, გულში მაგრათ იკრავდა, ჰკოცნიდა და ცხარე ცრემლების მორევში გულ-საკლავათ აცურებდა. „ჩემო ძვირფასო თისბაე!“ ერთი გულ-საკლავათ შეჰყვირა პირამმა: „განა შენის სახელის ხსოვნას მარტო ჩემს ცრემლებს ვაკმარებ, განა შენს, ჩემთ-

ვის ძვირფასს ტანთ-საცმელს ჩემის სისხლითაც არ ვაბკურებ!“ ამ სიტყვებთან ერთათ პირამმა ბასრი ხმლის მოქნევით შუაზე განიგმირა თავისი მგრძნობიარე გულის მკერდი. პირამი უსულოთ თუთის ძირას დაეცა. გულის მკერდიდან ამოვარდნილი სისხლის შადრევანი თუთის მაღალ ტოტებს სწედებოდა და წითლათ ღებამდა თუთის აღმასივით მოვლევარე ნაყოფს.

როცა დიდებულმა მეფემ თავი დაბურულ ტყეს შეაფარა, თისბა დაუყოვნებლივ დაბრუნდა დანიშნულ ადგილისაკენ. თისბა გაფაციცებით დაეძებდა თავის გულითად მეგობარს, რათა ემცნო მისთვის ასეთის განსაცდელისაგან განთავისუფლების ამბავი. თისბა აიკიდევაც მოვიდა დანიშნულ ადგილას, მაგრამ დახეთ მის განცვიფრებას, იგი ამ ადგილს ვერ ცნობილობს. თუთის ხე სრულიად სხვა ფერათ შეღებულა, ნუ თუ დანიშნულ ადგილს აეცდიო, ფიქრობს საბრალო და დაკვირვებით ათვლიერებს თუთის ხის მახლობელ მიდამოს, დახეთ, საცრადე თისბას მდგომარეობას, როცა მან ბასრი ხმლით გაგპირული თავის მეგობრის გვამი იქვე ახლოს დაინახა!... თისბა შიშის ზარმა ერთიანათ აიტანა. საბრალო პირის სახეს იკაწრავს, თავიდან თმას იგლეჯს, საზარელი ხმით ქვითინებს და თვალთაგან ჩამოდენილ ცრემლების ნაკადულით ასველებს თავისს ძვირფასის მეგობრის სამუდამოთ დაღუმებულ ტუჩებს. თისბამ მძლავრათ ჩაიკრა გულში გაცივებული პირამის გვამი. „პირამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო!“ გულ-საკლავათ ზუტუტებდა თისბა: „გამიგონე, ერთის თვლით მაინც-ღა გადმომხედე! შენი თისბა, შენი კარგი და გულითადი მეგობარი და ამხანაგი გელაპარაკება! არ მისმენ, ჩემო ძვირფასო! ერთი წამით მაინც გაახილე შენი ჩემთვის ძვირფასი მშვენიერი თვლები!“

დიღნანს და დიღნანს ჩასძახოდა ასე გულ-საკლავათ საბრალო თისბა თავის გულითად მეგობარს, მაგრამ პირამის გაცივებული გვამი ვერას გრძნობდა, მას სამუდამოთ დაეხუჭა ამ რაქდენიმე წუთის წინეთ მოვლევარე თვლები.

საბრალო თისბამ პირამის გაცივებულ გვამის მახლობლოთ დაინახა თავისი გასისხლიანებული ტანთ-საცმელის ნაფლეთები და მეგობრის ხმლის ქარქაში. თისბა მაშინვე მიხვდა, თუ რამ

აიძულა საბრალო პირამი ასეთის თავ-განწირულების ჩასადენათ. „საცოდაო, ჩემმა უსაზღვროთ მეგობრულმა სიყვარულმა გაიძულა სასიკვდილოთ! ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მეგობარო, შენი სიყვარული მეც მომცემს ძალასა და მხნეობას შენთან ერთათ მოვისპო სიცოცხლე! თუმცა სიკვდილი ამ ქვეყნათ გავაშორებს, სამაგიეროთ იგივე სიკვდილი საიქიას შეგვეერთებს, სულიერთათ დაგვაკავშირებს! დეე, ჩემო ძვირფასო, მეც შენთან ერთ საფლავში დავიმარხო, მეც შენთან ერთათ განვისვენო! მე სრულიად ბედნიერად ჩავთელი ჩემს თავს, თუ ჩენი მშობლები ჩემს ამ უკანასკნელ სურვილსაც მაინც აღასრულებენ. შენ, თუთის ხეე, შეიფარე შენ მაღალ ტოტების ჩრდილის ქვეშ ერთ კუბოში ჩამარხოული ორი გვამი სიცოცხლეში განუსაზღვრელათ მოსიყვარულე მეგობრებისა! შენ იყავ საიღუმლო მოწმე ჩენის სიკვდილისა!.. დეე, ჩენის სისხლით წითელ-ყვითლათ შეღებილმა შენმა ფოთლებმა ყველას ამცნოს ორი მეგობრის ასეთი თავ-განწირულება!“

თისბამ ამ სიტყვებთან ერთათ მძლავრათ დაიცა გულის მკერდში პირამის სისხლით ჯერ კიდევ სველი ბასრი ხმალი და სამუდამოთ განისვენა თავის გულითად მეგობრის გვერდით.

საბრალო მშობლებმა პირამი და თისბა ერთი კუბოთი დასაფლავეს სწორეთ იმ ადგილას, საცა ამ ორმა გულითადმა მეგობრებმა უკანასკნელათ სამუდამოთ დახუქეს თვალეზი. თუთის მაღალი ტოტები გულმოდგინეთ უჩრდილებენ უდროათ სიცოცხლეს გამოსაღმებულთ საფლავს და ყველა გამეღელ-გამომეღელს სისხლისაგან გაშავებულ ფოთლების შრიალით გასაგებათ ყურში ჩასწორებულმენ საბრალო პირამისა და თისბას თავ-განწირულ მეგობრობის სამწუნარო ამბავს. გულ-საკლავია თუთის ფოთოლოთა ამგვარი შრიალი და აბა რომელი გულ-ქვა გამეღელ-გამომეღელი გვერდს აუხევეს მეგობრობისათვის ამ თავ-დადებულ გმირთა სავანეს, რომ მას თვალთავან ცხარე ცრემლების ნაკადული არ წასკდეს.

5. უუმისთავგელი.

(ოგიდიუსიდან)





ძველი ისტორია.

(ერნესტ ლაისისა)

ეგვიპტელები.



1) ეგვიპტის ერ. ხუთი ათასი წლის წინეთაც ცხოვრობდა ევროპაში ხალხი, მაგრამ მაშინდელი ხალხი არა ჰგავდა ახლანდელ მის მცხოვრებთ. მაშინ ისინი ცხოვრობდნ გამოქვაბულებში ან და ალაჩუყებში, იცვამდნ მხეცების ტყუისაგან შეკერილ ტანისამოსს და ჰამდნ მათ ხორცს.

იმ დროს ეგვიპტის მცხოვრებლებმა უკვე იცოდნ დამბებისა, ბოგირებისა და ქალაქების აგება, მიწის დამუშავება, შეადგენდნ ერთ სახელმწიფოს და ითვლებოდნ განათლებულ ერათ.

2) ეგვიპტე. ეგვიპტელების ქვეყანა ძლიერ ცხელი ქვეყანაა და იქ თითქმის არასოდეს არ მოდის წვიმა. მაგრამ „ნილოსი“, რომელიც ეგვიპტეზე ჩამოდის, ისეთი დიდი მდინარეა, რომ უწვიმობას არ ამწინეინებს ხალხს. იენისის თეში, როცა მაღალ მთებზე თოვლი დნება, „ნილოსი“ აღიდდება ხოლმე, გადმოდის თავის კალაპოტიდან და მთელი ეგვიპტე სექტემბრამდე დაფარულია წყლით. სერებზე გაშენებულ პაწაწა სოფლებს მთელი სამი თვის განმავლობაში წყალი გარშემო არტყია. როცა ნილოსი ჩადგება თავის კალაპოტში იგი ტოვებს დედამიწაზე ლამს, რომელიც მეტის მეტათ ანაოი-

ერებს ადგილს. ამას დიდი სარგებლობა მოაქვს მიწის მუშა ხალხისათვის.

3) ფარანუბი. ეგვიპტელები ემორჩილებოდნენ ხელმწიფეებს, რომლებიც ფარაონათ იწოდებოდნენ. ფარაონი ცხოვრობდა სამეფო სასახლეში. მას ხალხი მზის შვილს უწოდებდა და ვინც მიუახლოვდებოდა ისე სცემდა თაყვანს, როგორც ღმერთს. სიკვდილის შემდეგ მათ სახელზე აშენებდნენ ტაძრებს და სწირავდნენ მსხვერპლს. ფარაონების ჩამომავლობა სულ ოც-და-ექვს გვარათ იყო, რომლებიც ოც-და-ექვს დინასტიას წარმოადგენდნენ. ეს დინასტიები (გვარები) 2500 წელიწადზე მეტს არსებობდნენ. პარველი თორმეტი დინასტიის ფარაონები ცხოვრობდნენ მემფისში, ახლანდელ ქალაქ ქაირის მახლობლათ, ხოლო შემდეგი ხელმწიფეების სატახტო ქალაქათ იყო თები, რომელიც მდებარეობდა ზემო ეგვიპტეში, მათ სასახლეების და ტაძრების ნანგრევებს ახლაც ალტაყებაში მოჰყავს მნახველები.

4) მემფისი. ეგვიპტის ხელმწიფეებს (ფარაონებს) ჰყავდათ მეომრები შუბებითა და მშვილდებით შეიარაღებული, რომელნიც ამობდნენ სამხედრო ეტლებში მჯდომარე. ისინი იბრძოდნენ აფრიკაში და სირიაში ზანგების წინააღმდეგ. მოჰყავდათ იქიდან ტყეები, რომელთაც ამუშაებდნენ ძეგლების ასაგებათ. ყველაზე შესანიშნავი ფარაონი იყო მეთვრამეტე გვარში, სახელათ რამზესი II, ანუ სეზოსტრისი, როგორც ჩვენ ვიხსენიებთ. იგი ცხოვრობდა მეთხუთმეტე საუკუნეში, ქრისტეს დაბადების წინეთ.

5) აკლამუზი. ეგვიპტელებს სწამდათ რომ ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ შორდება მის სხეულს, მაგრამ იგი ოდესმე ისევ უნდა დაუბრუნდეს. ამისთვის იმათ გამოიგონეს მკვიდრის სხეულის შენახვის საშუალება: გამოშიგნაედნენ მიცვალებულს, შებურვიდნენ და ჰხვედნენ ტილოს მსგავს ქსოვილებში. შემდეგ აკეთებდნენ მიცვალებულისათვის აკლამას, სახლისაგებ გამართულს: ტახტით, მაგიდებით, ტანისამოსებით, სამკაულებით და სანოვაკეებით. შებურვილი გვამი ადამიანისა შრებოდა, ხმებოდა, შედებოდა და ინახებოდა დაუშ-

ლელათ მრავალ საუკუნეთა განპავალობაში. ამგვარათ შენახულ გვა-
მებს ეძახიან მუმიებს. სწავლულებს ბევრჯელ უპოვიათ და ახლაც
პოულობენ მრავალ აკლდამებს, სადაც შენახულა მუმიები და სხვა-
დასხვა ძველებური ნივთები.

6) პირამიდები. სამი შესანიშნავი პირამიდი (ქალაქ ქაირის მახ-
ლობლათ) აგებულნი არიან აკლდამებათ. შიგნით ისინი ცალიერები
არიან და თითოეულ მათგანში დამარხულია ფარაონი. ერთ იმათ-
განს, რომელსაც დიდ პირამიდს ეძახიან, სიმაღლე 146 მეტრი
აქვს, (მეტრი უდრის ერთ ალაბს და ექვს გოჯს). ეს უდიდესი ძველ-
თაგანია მთელს ქვეყანაზე, მაგრამ ამ პირამიდის ამშენებლებს იმ
დროს არა ჰქონდათ ისეთი მოწყობილობა (სხვა-და-სხვა მანქანები),
როგორცა გვაქვს ახლანდელ დროში. ქვების ზევით ასაზიდათ უნ-
და ეშენებინათ კაბის მაგიერი ქეითკარის კედლები, რომელსაც შემ-
დეგში ანგრევდენ. ფარაონები ამ ძეგლების ასაგებათ ამუშაებდენ
მონებსა და ტყვეებს.

7) სკელაგნება ეგვიპტელთა. ეგვიპტელები აშენებდენ უზარმაზარ
ტაძრებს და მათ კარებ წინ აშართავდენ ორ დიდ ერთიან ქვის სვეტებს,
ანუ ობელისკებს. ერთი ობელისკა, რომელსაც უწოდებენ ლუქ-
სორის ობელისკს, დგას პარიზში „თანხმობის მოედანზე“ და მოტა-
ნილია თების ტაძრის ნანგრევებიდან. ეგვიპტელები ქვისაგან აკე-
თებდენ პატარა ქანდაკებებს, რომელთაც ტანი ლომისა ჰქონდათ და
თავი დედაკაცისა. ამ გვარ ქანდაკებას ეძახიან სფინქსს. ამ სფინქ-
სებს ამწყრივებდენ ორ-ორ წყებათ ტაძართან მისასვლელ გზაზე.
ეგვიპტელები ხნადენ პატარ-პატარა უბორბლო გუთნებით, თესდენ
და მკიდენ. იმათ აკლდამებში ახლაც პოულობენ ისეთ პურის მარცვ-
ლებს, როგორსაც ჩვენ ახლანდელ დროში ვხმარობთ. ბლომათა ჰყავ-
დათ შინაური პირუტყვები: ძროხები, თხები, ღორები და ბატები. აგ-
რეთვე ქსოვდენ სელისაგან ქსოვილებს. იცოდენ ოქროს და ვერცხ-
ლის დამუშაებაც. აკეთებდენ შუშასა და ფაიფურს. წყლის პირებ-
ზე ამოასულ ერთგვარ მცენარის ფოთლებიდან აკეთებდენ სქელ მა-

გარ ქალაქს და სწერდენ მანვე წვერ-გათლილი ჩხირით, ამ მცენარეს ეძახდენ პაპირუსს, საიდანაც წარმოადგა ქალაქის სახელი ფრანგულად „პაპი“.

8) წერა. ეგვიპტელებმა გამოიგონეს წერა. იმათ საწერ ნიშნებს ერქვა „ჰიეროგლიფები“. პირველში ამ ნიშნებს მეტათ ბევრს ხმარობდენ წერაში. თითოეულ სიტყვას საკუთარი ნიშანი ჰქონდა და რადგანაც სიტყვების რიცხვი დიდია, წერის სწავლას დიდ ხანს უნდებოდენ. დროთა განმავლობაში წერა გაადვილდა და ნიშნების რიცხვიც შემცირდა.

ბოლოს სირიის ქვეყნის ერთ კუთხეში გამოჩნდა პატარა ერთიანი ენისა, რომლებიც ცხოვრობდენ რამდენსამე პატარა ქალაქებში. ამ ქალაქებში შესანიშნავ ქალაქათ ითვლებოდა ქალაქი ტვირი.


ფინიკელები საზოგადოთ ეაჭრობას მისდევდენ და მათთვის ძალიან საჭირო იყო ადვილი წერა-კითხვის ცოდნა, საეაჭრო წიგნებისა წარმოებლათ. იმათ ადვილათ შეისწავლეს ეგვიპტელებისაგან ასოები, მაგრამ იმათი ანბანიდან მხოლოდ ოცი ასოს საშუალებით გამოიგონეს ადვილი წერა. პირველი ასოები იყო ა და ბ აქედან წარმოადგა ჩვენი ასოების საზოგადო სახელ-წოდება ანბანი, ხოლო ბერძნულათ ქვია ამ პირველს ასოებს ალფა და ბეტა, საიდანაც წარმოადგა ევროპიულ ანბანთა სახელ-წოდება ალფაბეტი. სუყველა ევროპიული ანბანი წარმოადგა ეგვიპტელების ანბანიდან, რომელიც ფინიკელებმა შეიმუშავეს და გააუმჯობესეს.

9) ეგვიპტის მკვლევარნი და სწავლულნი. ასი წლის წინეთ მეცნიერებმა კარგათ არ იცოდენ ძველი ეგვიპტის ამბავი. საფრანგეთის რევოლიუციის (არეულობის) დროს ფრანგის ჯარმა (1798 წ.) დაიპყრო ეგვიპტე. ჯარში მყოფმა ფრანგ მეცნიერებმა გამოიკვლიეს აკლამები და ბევრი ნივთები წამოიღეს საფრანგეთში. მაგრამ იმ დროს არავინ იცოდა ქვებზე ამოჭრილ და პაპირუსზე დაწერილ ჰიეროგლიფების წაკითხვა. ფრანგმა პროფესორმა შამპოლიონმა ბევ-

რის დაკვირვების შემდეგ მოახერხა ეგვიპტურ ნაწერების წაკითხვა. ამ დროიდან მუდამ არიან საფრანგეთში, ინგლისში და გერმანიაში ისეთი სწავლულნი, რომელნიც მისდევენ მხოლოდ ძველი ეგვიპტის შესწავლას. ამათ უწოდებენ ეგვიპტოლოგებს.

10) მნიშვნელობა ეგვიპტისა. ეგვიპტელებმა დიდი ღვაწლი გაუწიეს ქვეყნიერებას. იმათ სხვა ერებზე უწინ შეისწავლეს ხენათესა, ქსოვა, ცხენებისა და საქონლის დაქედვა, ლითონების ჩამოსხმა, ქანდაკება, ქვებზე წარწერა—ამოკრა. ყველა ეს გამოიგონეს ეგვიპტელებმა და შემდეგ იმათგან შეისწავლეს ევროპელებმა. ამისათვის აღმოსავლეთის ძველ სახელმწიფოებში ყველაზე დიდებული და ყველაზე უძველესი განათლებით ეგვიპტეა. უძველეს დროში აღმოსავლეთში კიდევ ყოფილა დიდი სახელმწიფოები: ასურეთი, სატანტო ქალაქ ნინეფიათი, ბაბილონია—ქალაქ ბაბილონით და სპარსეთი. ჩვენ აქ ამ ქალაქებზე არას ვამბობთ, რადგანაც უძველეს დროში განათლებით ეგვიპტე მათზე ბევრით მაღლა იდგა. შემდეგში ეგვიპტე ჯერ დაიმორჩილა სპარსელებმა, და მერე ბერძნებმა.

(შეშლული იქნება)



რომელ ჩვენ მეფეს ეძახიან აღმაშენებელს და ან რათ
დაარქვეს ეს სახელი? *)



აღმაშენებელს ვუწოდებთ დავით მეფე
III. დავით III ავიდა ტახტზე მე-
თერთმეტე საუკუნის დაძლევის. ე. ი.
1089 წელს. საქართველოს სატახ-
ტო ქალაქათ მაშინ ითვლებოდა ქუ-
თაისი, რადგანაც თბილისი მტრის
სელთ იყო.

დავითი მაშინვე შეუდგა დანგრეულისა და აოხრებული
სამეფოს აღდგენას და განასლებას. ქართველები ისევ შე-
სისწულები იყვნენ მთებში. ბრათ რომ ჩამოსულიყვნენ და
სარჩოს შექმნა დაეწყოთ, თურქები ისევ ცარცვა-გლეჯას
დაუწყებდნენ. მტრის დაოკება შეიძლებოდა ეოკველ წლიურის

*) საუკეთესო პასუხი „ჯეჯილის“ 1902 წ. მე-XI №-ში მო-
თაყვებულ საჩუქრის მისაღებ კითხვისა.

სარჯის ძლევით, მაგრამ ისედაც გადატაკებულ ხალხს არ შეეძლო ამისი გადახდა. დავითმა, როგორც თავის ხალხისთვის გულ-შემატკივარმა, სასჯელმწიფო ქონებიდან დაუნიშნა თურქებს სარჯი, იმ ჰირობით, რომ ქართველი ხალხისთვის აღარ ესლოთ ხელი და იმის საქმეებშიც აღარ გარეულიყვენ. ხალხს იმედი მიეცა მშვიდობიანობისა. მეფის სიტყვით და მაგალითით გამსწავლა. ჩამოვიდა მთებიდან, აავსო ქალაქები და სოფლები, განიახლა სადგომები, შეუდგა ხენა-თესვას, ვენახების მუშაობას და გაცოცხლდა ქვეყნა. მთებში ყოფნის დროს ქართველობა გაველოურდა, სარწმუნოება შეუსუსტდა, ზოგმა სრულიად დაივიწყა ქრისტეს სარწმუნოება. დავითმა ჰირველათ ეურადღება მიატყია სწეობისა და სარწმუნოების აღდგენას. მოახდინა კრება ეპისკოპოსთა. კრებამ დაადგინა, რომ თანამდებობიდან გადაყენებულნი ყოფილიყვენ ის ჰირნი, რომელთაც უღალატეს ქრისტეს სარწმუნოებას და სწეობას. ამ დადგენილებით ბევრი დაემორჩილა სასჯელს, ბევრმა უარჰყო, რომელნიც დატუსაღებულნი იყვენ, ბევრმა შენახებით თანამდებობა დაიბრუნა. დავით მეფემ ხალხის უფროსებათ დააყენა ლეთის მოყვარე ჰირნი, სათნოიანი გულ-შემატკივარნი ხალხისთვის და ქვეყნისთვის.

უფროსების დახმარებით და სამღვდლოების ქადაგებით დავითმა ძალე აღადგინა თავის სამეფოში წესიერება, სწეობა, სარწმუნოება და ხალხი დააყენა კეთილ გზაზედა.

თურქების შემოსევის დროს ბევრი ქართველი იქნა დაჭრილი, რომლებიც მთებში ცხოვრების დროს დასწევად და დაუძღვრდნენ. ამ ავთომოფებს დავითმა აღმოუჩინა მამობრივი მზრუნველობა: გამართა საავთომოფოები, მიუჩინა ექიმები და მოუპოვა შესანახათ სასწარი. ყოველი კუთხიდან მოჭევადათ ავთომოფები ამ სამკურნალოში; სძირათ თითონაც ნახულობდა მათ, ანუგეშებდა, თავის სელით ასმევედა წამლებს და ეალერსებოდა.

დავითი დიდ ზრუნვას და გულ-შემატკივრობას უჩენდა ღარიბ-ღატაკთ. მეფე თავის თავსე ცოტას სარჯავდა და ქონებას ანძარებდა გაჭირვებულთ. საქართველოს ყოველ კუთხეში ჭევადა სანდო ჰირნი, რომელნიც თვალ-უერს ადევნებდნენ ღატაკების მდგომარეობას და მეფის სარჯით თავის დროსე აძლევედნენ შემწეობას. როდესაც ხალხის გაძლიერებასთან მეფის სიმდიდრემაც იმატა, დავითის ქველმოქმედებაც ერთი ათათ გადაქცა.

ერთ დღეს თავის მოძღვარს ოც-და-ათნი ათასი დრახანი (დრახანი 24 კან.) მისცა ღარიბთათვის დასწარიკებლათ. თუ რომელსამე დღეს მოწუალებას ვერ გასცემდა, დავითი იმ დღეს უქმათ გატარებულ დღეთ რაცხდა და ამბობდა: დღეს მე ცოდვებმა ნება არ მომცეს ქრისტეს ვალი გადაემხანაო. დავითმა არ დაივიწყა სამღვდელოებაც, გაათავისუფლა სარჯისაგან ეკლესიები, მთელი სამღვდელოება და საეკლესიო კლესნი. ამისთვის სამღვდელოება დიდ ერთგუ-



ლობას უჩენდა დავითს. თვალ-ურს ადევნებდენ ერისთავებსა და გავლენიან ზირებს და თუ ვინმე მეფის და ქვეყნის ღალატს განისრასხავდა, მაშინვე ატეობინებდენ დავითს. ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმ შინაურის მშვიდობიანობისა, რომელიც სუფევდა საქართველოში დავითის მეფობის დროს.

დავითს ძლიერ უყვარდა წიგნების კითხვა. მუდამ ვარს ესვია მკოდნე ზირნი. დავითმა სელასლათ განსნა მონასტრებთან და ეკლესიებთან სასწავლებელნი, რომელნიც თურქების შემოსევის დროს გაუქმდა. აგრეთვე დააფუძნა ასალი მღვდლი სასწავლებელი იუბათოში, სადაც სწავლობდენ თავად აზნაურთა და სამღვდლოების შვილნი. დავითმა დიდ სანს არ აძლია სარჯი თურქებს. ჯერ არ გასულიყო სამი წელიწადი მის გამეფებიდან, რომ თურქების სონთქარი მელიქ-შაჰი მოკვდა და იმის მემკვიდრეებს შორის ასტუდა ცილობა საძეფო ტანტყე. ამით ისარგებლა დავითმა და მოსწო სარჯის ძლევა. ის ფული დატრიალდა სასელმწიფო საზინაში და ნიუთიერი სასსარი გაუძლიერდა მეფეს.

დავით მეფე აღმაშენებელი საქართველოს ეკლესიამ წმიდანათ იცნო და დააწესა მისი სსენების დღეთ იანვრის 26.

ქემო-ნიქოზის სკოლის მოწაფე
ვლადიმერ მეტრეველი. 14 წლისა.





ხევისურთული ანდაზები (ანდრეჰები).

(ჩაწერილი ს. ბარისაშვილი დ. შავლაშვილისაგან).

ძნაიწვის და ულო იცინისო—მოიცა ულოეო შენთანაც მოვასო.

დედის წინ მაელოს კეიცს ფენი მოუტენიაო.

მგელი არ მოშლის მგლობასო, კაი ემა მამაცობასო;
 არ მოშლის ბერი არწივი მთის ყურეთ ნადირობასო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წამოადგენილი სვირას სკ. მოსწავლე ნეოფ. ტაბუკაშვილისაგან).

ერთი რამე სულიერი
 ეშმაკისა სახეო,
 მალლა-მალლა დაფრინაედა
 ძირს დაეუგე მანეო;
 წერილ-წერილები გაბმულიყო
 ჩემი თვალით ენახეო.

შ ა რ ა დ ა.

(წამოდგენილი კ. ფრანისპირელისგან).

პირველს ეცხებით წყლის ორმოს,
 ზაფხულში მეტათ გრილია,
 მესამე ასოთ მას მოსდევს
 ნანი ნანას სახელია
 ბოლო ნაწილსა ხმარობენ
 ქვევრის მაგიერ იმერნი;
 ერთათ შემდგარი ხილია
 კარგი არის, გემრიელი

არითმეტიკული გამოცანა.

ძარდი თრითინა.

ნიგოზს საზოგადოთ შემოდგომაზე ჰკრეფენ და ბერტყენ: გაჩურჩ-
 ლავენ (განაქვენ) და ინახავენ ბელელში. ერთ გლეხს ბელელში ბე-
 რი ნიგოზი ჰქონდა შენახული, თუმცა მის შეილებს, სურვილი რომ
 წასძლედათ, გაჰქონდათ ხოლმე ნიგოზი, მაგრამ უამისოთაც ნიგო-
 ზი ბელელში ისე მალე იღეოდა, რომ ბაეშებმა იწყეს ბელლის გარ-
 შემო სიარული, რომ გაეგოთ, ვინ იპარადა ნიგოზს. მალე წააწყ-
 დენ ერთ ქერა თრითინას, რომელიც თურმე იპარადა ნიგოზს კე-
 დელში გაყვანილ ხერელიდან. ბაეშებმა ეს მამას შეატყობინეს და
 მამამაც, რომ გაეგო რამდენი ზარალის მოტანა შეუძლია ასე პატა-
 რა ცხოველს, ნიგოზი ბელლიდან სხვაგან გადიტანა და იქ მხოლოთ
 ოცი კაკალი ნიგოზი დატოვა. ექვს საათს უკან შევიდნენ და ნახეს,
 რომ ნიგოზის ნასახიც აღარსად იყო. ბელელსა და ხეს შუა, რომ-

ლის ფულუროშიაც თრითინა ნაქურდალს ინახავდა, კარგა დიდი მან-
ბილი იყო—ორას ოთხმოცი საყენი, თითო ნიგეზისთვის თრითინას
უნდა გამოეფლო მთელი ორას ოთხმოცი საყენი, ასე რომ იქით
და აქეთ უნდა გაეარა ხუთას სამოცი საყენი. აბა, ახლა იანგარიშეთ
რამდენი ვერსი უნდა გაეკეთებია თრითინას?

რებუსი



თ




ქ




პ

კისერ ზვეთ რა
გაბია



,



ცისა და ქვეყ-
ნის მანათო-
ბელი

ს 2

ქ

ბალანი

ოე

პატარა ტანის
ძალლი

,



ს


წისქვილის
წყლის სადენი

ბ

ყოველ დღიუ-
რი სასმელი

თ 3





№ I გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ხერხი, 2) მთვარე, 3) წელიწადი, 4) ყინვა.
შარადა: ღომხალი.

რებუსი: ყველასათვის კეთილი სურს
სამუდამოთ ახალ წელსა,
ჩვენცა ასე ღმერთსა შევთხოვთ
მკითხველების სიცოცხლესა.

რებუსი გამოიცნო თბილისის პირველი გიმნაზიის 1-ლ კლასის მოწაფემ გიორგი მანილოვმა, სათავადაზნაურო სკოლის 1 კლასის მოწაფემ გ. მედითაურმა და ახალციხის სამოქალაქო სასწ. მოწაფემ გაბრიელ დიდმაშვილმა.



საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი



„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

კაპოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორც რათაც აქამდის.

ქურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კუკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამეთხველოებში საკითხაუთ.²

ქურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისის გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. ქ. Тифлис, № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возле Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: В Тифлисе, в редакцію грузинскаго мѣсяцного журнала „Джѣджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.